

მარიამ ლორთქიფანიძე

**აფხაზები
და აფხაზეთი**

Мариам Д. Лордкипанидзе

АБХАЗЫ И АБХАЗИЯ

Mariam D. Lordkipanidze

**THE ABKHAZIANS
AND ABKHAZIA**

მარიამ ლორთქიფანიძე
აფხაზები და აფხაზეთი

მეორე შევსებული გამოცემა

Мариам Д. Лордкипанидзе
АБХАЗЫ И АБХАЗИЯ

Второе дополненное издание

Mariam D. Lordkipanidze
**THE ABKHAZIANS AND
ABKHAZIA**

The Second Revised Edition

თბილისი – Тбилиси – Tbilisi
2012

უაკ 94479224
ლ-852

ნარკვევი მიზნად არ ისახავს აფხაზეთისა და აფხაზების ისტორიის გადმოცემას. მისი ამოცანა უფრო ვიწრო და კონკრეტულია, სახელდობრ: ცნებების „აფხაზეთი“ და „აფხაზები“-ს მნიშვნელობის წარმოჩენა სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვაენოვან წერილობით წყაროებში და მათი თანამედროვე მნიშვნელობა.

Очерк не ставит целью повествование истории Абхазии. Цель очерка конкретна – выявление значения терминов – «Абхазия» и «Абхаз» в раз-
ноязычных письменных источниках разного времени и их современное значение.

The purpose of the essay is not to give an exposition of the history of Abkhazia and Abkhazians. Main goal work is to highlight the meaning of the terms “Abkhazian” and “Abkhazia” in the written sources of various languages and different times as well as their modern meaning.

რედაქტორი:

ლია ახალაძე – ისტორიის დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი:

ბეჟან ხორავა - ისტორიის დოქტორი, პროფესორი

ნარკვევი იბეჭდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

© მარიამ ლორთქიფანიძე
© Мариам Д. Лордкипанидзе
© Mariam D. Lordkipanidze

© გამომცემლობა, „მერიდიანი“ 2012

ISBN 978-9941-10-588-3

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა	4
აფხაზები და აფხაზეთი.....	6
ბოლოსიტყვა.....	65
Абхазы и абхазия.....	70
The Abkhazians and Abkhazia.....	94
ბიბლიოგრაფია.....	114

წინათქმა

1990 წელს გამოქვეყნდა ჩემი ნაშრომი „აფხაზები და აფხაზეთი“, ქართულად, რუსულად, ინგლისურად. 1990 წლიდან 2010 წლამდე აფხაზებისა და აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით მრავალი ნაშრომი გამოქვეყნდა, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, საგანგებოდ აფხაზეთის პრობლემისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილია ახალი მასალა, ზოგი საკითხი ახლებურადაა დასმული და გადაწყვეტილი, ამიტომ სასურველად ჩავთვალე, 1990 წელს გამოცემული ნაშრომის შევსება და რედაქტირება.

ამ გამოცემაშიც ქართულს ერთვის რუსული და ინგლისური ტექსტი, მაგრამ არც ერთი არ არის ქართულის მთლიანი თარგმანი და არც რეზიუმე, ეს ქართული ტექსტის შემოკლებული ვარიანტებია.

რადგან თემის აქტუალობის გამო ნაშრომი შეიძლება საინტერესო იყოს არასპეციალისტებისთვისაც, ტექსტი არ გადავტვირთე სამეცნიერო აპარატით და ბოლოში დაფურთე საკუთრივ საკითხთან დაკავშირებული ძირითადი გამოყენებული ლიტერატურის სია. აფხაზეთის შესახებ არსებული ლიტერატურა მაქსიმალურადაა წარმოდგენილი მარინე ბულეიშვილისა და რუსუდან მურღულიას ნაშრომში „ბიბლიოგრაფია აფხაზეთის შესახებ“, თბ., 2009.

საგანგებოდ აფხაზეთის ისტორიისადმი მიძღვნილი კრებულებია: «Разыскание по истории Абхазии/Грузия», Тб., 1999 და „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი“, თბ., 2007. 2009 წელს გამოქვეყნდა მისი რუსული თარგმანი – «Очерки истории Грузии-Абхазия», Тб., 2009. 2011 წელს გამოიცა ამ წიგნის ინგლისური თარგმანი – “Assays from the History of Georgia-Abkhazia”, 2011. აღნიშნული გამოცემები მივუთითე როგორც „კრებულები“ და მათში შესული სტატიები ცალ-ცალკე არ გამოვიტანე. ამ კრებულებში შე-

სულ ყველა ავტორს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები აფხაზეთის შესახებ, რაც საგანგებოდაა მითითებული. როგორც 2007 წელს გამოქვეყნებული ქართული კრებულის რუსულ თარგმანშია აღნიშნული, თარგმანი ნაწილობრივ გადამუშავებულია რუსულენოვანი მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით და დამატებულია ორი თავი. ეს დამატებული თავები შეტანილია ბიბლიოგრაფიაში.

შეგნებულად, მაქსიმალურად შევეცადე თავის შეკავება სადავო საკითხებზე პოლემიკისაგან. თუ რამე გამომჩნა უშუალოდ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურიდან ავტორს და მკითხველს წინასწარ ვუხდი ბოდიშს. ყველა შენიშვნა მადლობით იქნება მიღებული.

აფხაზები და აფხაზეთი

აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, ისტორიულ და თანამედროვე დასავლეთ საქართველოში. აფხაზეთი საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, როგორც, მაგ. კახეთი, სვანეთი, სამეგრელო, იმერეთი და ა. შ.

აფხაზი აფხაზეთის მცხოვრებია, ისევე როგორც კახელი კახეთის, სვანი სვანეთის და ა.შ.

დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, მისი შავი ზღვის სანაპიროს უძველესი ეთნიკური რუკის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ ეს თვალსაზრისები იმდენად შორეულ ეპოქას ეხება (ძვ.წ. VI-V ათასწლეულები), რომ კონკრეტულ ეთნოსზე მსჯელობის შესაძლებლობა გამორიცხულია, ხოლო ძვ.წ. II ათასწლეულიდან, როდესაც ვითარება შედარებით უფრო ნათელი ხდება, სამხრეთ (ამიერ) კავკასიის დასავლეთში უმთავრესად ქართველური მოსახლეობა ივარაუდება.

ამ დროიდან მოყოლებული (ვიდრე ანტიკურ ხანამდე,) ამ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, იძლევა იმ დასკვნის გამოტანის უფლებას, რომ აქ არსებობდა საერთო კოლხური, ე.ი. ქართველური კულტურა. ამ დიდი არეალის კულტურის შიგნით, სპეციალისტთა დასკვნით, გამოიყოფა ცალკეული რეგიონალურ-ლოკალური ვარიანტები, მაგრამ მთლიანობაში ის კოლხური კულტურაა. ერთ-ერთი ასეთი ლოკალური ვარიანტია საკუთრივ აფხაზეთი. ძვ.წ. II და I ათასწლეულებში ქართველური (საკუთრივ სვანური) ეთნიკური ელემენტი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს როგორც მთიან, ისე დაბლობ ზონაში, რისი ერთ-ერთი საბუთია ქ. ცხუმის (სოხუმის) სახელწოდების ქართული (სვანური) რცხილადან წარმომავლობა, ასევე აქ გავრცელებული ქართული ტოპონიმები, ჰიდრონიმები, უძველესი დროიდან დაფიქსირებული გვარსახელები.

ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ძველი ბერძნული მითოლოგიის მონაცემები არგონავტთა კოლხეთში მოგზაურობის შესახებ და ლინგვისტურ კვლევაზე დამყარებული დებულება არგონავტთა აქ მოსვლის დროისთვის (ძვ.წ. II ათასწლეული), ე.ი. ბერძენ-ქართველთა უძველესი კონტაქტების ხანაში, აქ ქართველური სალაპარაკო ენის არსებობის შესახებ.

აღნიშნულ დებულებას მთლიანად უჭერს მხარს ანტიკური წერილობითი წყაროების მონაცემები (ჰეკატე მილეთელი, ძვ.წ. VI ს., ჰეროდოტე ძვ.წ. V ს., სკილაქს კარიანდელი, ძვ.წ. IV ს., სტრაბონი, ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნა და სხვა ავტორები), რომელთა საფუძველზე საკითხის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში კოლხეთის სამეფო მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს დაბლობს. ამასთანავე კოლხებით, ძირითადად, დასახლებული ჩანს მინა-წყალი დიოსკურიამდე (სოხუმი), რომლის შემდეგ იწყება ეთნიკურად შედარებით უფრო ჭრელი სამყარო, სადაც კოლხებთან ერთად მოხსენებულინი არიან კერკეტები, კორაქსები და სხვა ტომები, რომელთაც მკვლევართა ნაწილი ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ეთნოსებად თვლის. დასავლეთ საქართველოს უძველესი ეთნიკური რუკის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტსაც, რომ II საუკუნის ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემეაიოსი ნიკოფსიასთან (თანამედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს ლაზიკას, ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არიანე ამ პუნქტს **„ძველ ლაზიკას“** უწოდებს, რაც აქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი მოწმობაა.

ანტიკური წყაროების მონაცემებით სრულიად აშკარაა, რომ ძვ.წ. VI-I სს-ში აფხაზეთის მინა-წყალი კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაშია. ამასთანავე, აფსაროსიდან (დღევანდელი გონიო) დიოსკურიამდე (სოხუმი), როგორც უკვე ითქვა, ცხოვრობენ საკუთრივ კოლხები. კოლხეთის

მთებში ცხოვრობდნენ სვანები, რომელთა საცხოვრებელიც დიოსკურიამდე ვრცელდებოდა.

ახ.წ. I და II საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მოხსენებულნი არიან აფსილები და აბაზგები, შუასაუკუნოვანი ქართული წყაროების აფშილები და აფხაზები. საკითხი იმის შესახებ, თუ რა დროიდან მოსახლეობენ ისინი აქ, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ისინი აქ უძველესი დროიდან მოსახლეობენ, მაგრამ, რადგან კოლხურ ისტორიულ-ეთნიკურ-კულტურულ სამყაროში შედიოდნენ, ადრინდელ წყაროებში არ არიან ასახულნი. მკვლევართა ნაწილის აზრით, ისინი აქ იმ დროიდან ჩნდებიან, როდესაც ზოგი ავტორის აზრით, I-II სს-ში ივარაუდება ჩრდილო კავკასიიდან ადიღური ეთნოსის წარმომადგენელთა ჩამოსახლება შავი ზღვის სანაპიროზე.

აზრთა სხვადასხვაობაა ამ აფსილთა და აბაზგთა ეთნიკური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებითაც. მკვლევართა ნაწილი მათ ქართველურ ეთნოსად, ხოლო ნაწილი ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ადიღეელებად მიიჩნევს. აღნიშნულია, რომ აფშილები და აბაზგები ისეთივე ქართველური მოდგმის ეთნოსები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახლე ეგრები (ლაზები), სვანები, ხოლო თანამედროვე აფხაზები (რომელნიც თავის თავს აფსუებს უწოდებენ თავის ენაზე, – მ.ღ.) XVII საუკუნიდან ჩრდილო კავკასიიდან არიან ჩამოსახლებულნი.

ზოგი მკვლევარი მიგრაციულ-ავტოქთონობის, ნაწილობრივ ადგილობრიობისა და ნაწილობრივ მოსულობის თვალსაზრისზე დგას. ერთი სიტყვით თანამედროვე აფხაზთა (აფსუათა) წარმომავლობის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

- I. აფხაზები ავტოქთონური მოსახლეობაა და თანამედროვე აფხაზების წინაპრები უძველესი დროიდან ცხოვრობენ აფხაზეთში;
- II. თანამედროვე აფხაზების წინაპართა მიგრაცია

მოხდა ახ.ნ. I-III ს-ში;

III. მიგრაციულ-ავთოქტონობის თეორია, რაც ითვალისწინებს აფხაზთა წინაპრების თანდათანობით ჩამოსვლას და ასიმილირებას;

IV. თანამედროვე აფხაზთა წინაპრები XVII საუკუნეში ჩამოვიდნენ ჩრდილო კავკასიიდან.

კლასიკური წყაროების „აფსილს“ ქართული შუასაუკუნოვანი წერილობითი წყაროების „აფშილეთი“ შეესაბამება. აფშილეთი ქართველ ისტორიკოს ჯუანშერთან მოხსენიებულია VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბი სარდლის მურვან იბნ მუჰამედის (ქართული წყაროების მურვან ყრუს, – მ.ლ.) დასავლეთ საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით.

აფსილია (აფშილეთი) და მისი მთავარი მარინი იხსენიება აგრეთვე VIII ს-ის ბერძენი ისტორიკოსის თეოფანე ჟამთააღმწერლის თხზულებაშიც, შემდეგ იხსენიება მისი ვაჟიც. ამის შემდეგ ქართულ და ბერძნულ წყაროებში აფშილეთ-აფსილია აღარ გვხვდება, რაც გამონვეულია იმ გარემოებით, რომ ამ დროიდან ის, როგორც ეთნო-ადმინისტრაციული ერთეული წყვეტს არსებობას, მისი ნაწილი აბაზგიის (აფხაზთა) საერისთავომ მიიერთა, ხოლო ნაწილი ლაზიკამ (ეგრისმა). ასევე ქრებიან წყაროებში სანიგები, რომლებიც VI საუკუნიდან ჩამოდიან ისტორიის სარბიელიდან, რომელთა მინა-წყალიც ასევე აბაზგიის საერისთავოს შემადგენლობაში შევიდა. ამ დროს იწყება ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობის გაფართოება.

ერთიანი კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში რამდენიმე, პოლიტიკურად რომის იმპერიაზე დამოკიდებული სამთავრო შეიქმნა, რომელთა შორის, როგორც უკვე ითქვა, ფლავიუს არიანე აფსილებს და აბაზგებს ასახელებს.

IV საუკუნეში დასავლეთ საქართველო ეგრისის (ლაზიკის) სამეფოდაა გაერთიანებული. საკუთრივ აფშილეთი ეგრისწყლიდან (ღალიძგა) მდ. კოდორამდე უშუალოდ შედიო-

და ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო კოდორის ჩრდილოეთით აფშილეთი აფხაზეთთან იყო გაერთიანებული, რომელიც ლაზთა სამეფოს დაქვემდებარებული ქვეყანა, მისი ვასალი იყო.

ბერძნული წყაროების ლაზიკის (ქართული ეგრისის) სამეფო კოლხეთის უშუალო მემკვიდრეა. V ს-ის ბიზანტიელი ანონიმი, VI საუკუნის ისტორიკოსები: პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი, როდესაც ლაზიკასა და ლაზების შესახებ მოგვითხრობენ, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ლაზები ძველი კოლხების მემკვიდრენი არიან, რომ ძველად მათ კოლხებს უწოდებდნენ, რომ კოლხები ლაზების წინაპრები არიან, ისინი ამ ორ ცნებას სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ. მაგ: VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერს: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდება“.

VI ს-ში ეგრისის სამეფო, მის მიწა-წყალზე მიმდინარე ბიზანტია-სპარსეთის იმ ომის შედეგად, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა, თანდათან დასუსტდა. საუკუნის დასასრულისათვის მას გამოეყო აფხაზეთი, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ვასალი გახდა, იმპერიის ხელისუფლება აქ თავის ადმინისტრაციულ ხელისუფლებს - არქონტებს ნიშნავდა (ქართული წერილობითი წყაროებით „ერისთავი ბერძენთა“), რომლებიც იმპერატორის ვასალები იყვნენ. ეგრისის შემდგომი დასუსტება ბიზანტიის მიერ ეგრისის სამეფოს გაუქმებამ და არაბთა თავდასხმებმაც განაპირობა. ბიზანტიის ხელშეწყობით, თანდათან გაძლიერება დაიწყო აბაზგიამ, რომელიც მოიცავდა სანიგეთს, მისიმიანეთს და აფშილეთის ნაწილსაც. შეწყდა მათი ცალკე არსებობა, გაფართოვდა ცნება აფხაზეთის მნიშვნელობა. ალბათ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ XI ს-ის ისტორიკოსი ჯუჰანშერი, როდესაც VIII ს-ის 30-იან წლებში არაბი სარდლის მურვან იბნ მუჰამადის (მურვან ყრუს) დასავლეთ საქართველოში ლაშქრობაზე მოგვითხრობს წერს, რომ მურვანმა დაანგრია ქალაქი „აფში-

ლეთისა და აფხაზეთისა ცხუმი“. ასეთი წაკითხვა, რომ დაან-
გრია ქალაქი „აფშილეთისა და აფხაზეთისა ცხუმი“ არის
„ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის ცნობილ უძველეს, ანასე-
ულ ნუსხაში ცხუმი აფშილეთის ქალაქი იყო, მაგრამ მურვან
ყრუს შემოსევის დროს, ის უკვე აფხაზეთის საეროსთავის
შემადგენლობაში შედიოდა, და ეს ცნობა შემოგვინახა „ქარ-
თლის ცხოვრების“ ანასეულმა ნუსხამ.

VIII ს-ის 80-იანი წლებიდან, როდესაც განხორციელდა
ორი დასავლურქართული სახელმწიფოს საკუთრივ აფხაზე-
თის და ეგრისის გაერთიანება, შეიქმნა სახელმწიფო, რომე-
ლიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, რომელიც
გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან (ტუაფსესთან) ჭოროხის ხე-
ობამდე (ქალდიამდე) და შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე და
აღიარებდა ბიზანტიის იმპერიის სუვერენიტეტს. იოანე სა-
ბანისძე ამ სახელმწიფოს „აფხაზეთს“ („ქუეყანა აფხაზეთი-
სა“) უწოდებს, მის მეთაურს „მთავარს აფხაზეთისას“ და აღ-
ნიშნავს, რომ „არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებე-
ლად ქრისტეს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე
არს დიდსა მას ქალაქსა კოსტანტინოპოლისასა“.

ქართული წერილობითი წყაროს ცნობით (სხვა წყაროე-
ბი კი არ არსებობს), ამდროინდელი ქართლის ერისმთავარ-
თა (სამეფო) სახლის უკანასკნელმა მამაკაცმა წარმომადგე-
ნელმა არჩილმა, ანაკოფიის ბრძოლაში მიღებული ჭრილო-
ბით გარდაცვლილი უფროსი ძმის მირის ანდერძის თანახ-
მად, გაათხოვა და გაამზიოვა მირის ასულები. ერთერთი
ასული, უფროსი გურანდუხტი, ცოლად მიათხოვა აფხაზთა
ერისთავს ლეონს, რომელსაც გადასცა ბიზანტიის იმპერა-
ტორის მიერ მირისთვის გამოგზავნილი, მისი ხელისუფლე-
ბის ცნობის დამადასტურებელი გვირგვინი. ამ აქტით ლეონ-
მა სიძობით, მემკვიდრეობით მიიღო ეგრისი, რაც სიმბოლუ-
რად და რეალურად ეგრისის და აფხაზეთის, ამ ორი დასავ-
ლურ-ქართული სახელმწიფოს, გაერთიანებას ნიშნავდა, ეს
ფაქტი ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს ორი ის-

ტორიული კუთხის – ეგრისის და აფხაზეთის გაერთიანება ნებაყოფლობითი აქტი იყო განხორციელებული დინასტიური ქორწინებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბიზანტიის საიმპერიო კარი V-VI სს-ში დასავლეთ საქართველოში ხელს უწყობდა აბაზგიის საარქონტოს (აფხაზთა საერისთავოს) გაძლიერებას ეგრისის წინააღმდეგ, რათა შეექმნა საფუძველი თავისი ბატონობისათვის მთელ დასავლეთ საქართველოზე. მაგრამ სამხრეთ კავკასიაში არაბთა სახალიფოს გააქტიურების, ალბანეთსა, სომხეთსა და ქართლზე მათი ხელისუფლების დამკვიდრების პირობებში, ბიზანტიის იმპერიამ შეცვალა თავისი პოლიტიკა დასავლეთ საქართველოს მიმართ. ახლა უკვე, როდესაც მას გაუძნელდა სახალიფოსთან დაპირისპირება, ბიზანტიას სამხრეთ კავკასიაში ესაჭიროებოდა შედარებით ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს არსებობა, რომელიც იქნებოდა მისი მოკავშირე მაჰმადიანებთან ბრძოლაში და ამიტომ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ამ ორი დასავლურქართული ქრისტიანული „ქვეყნის“ გაერთიანებას და იქ ერთიანი ქართული სახელმწიფოს, ე.წ. „აფხაზთა“ სამთავროს შექმნას. „აფხაზთა“ სამთავროს და შემდეგ სამეფოს წარმოქმნა ამ დროს მთელი ქართული ქვეყნების ფარგლებში ახალი ქართული სახელმწიფოების შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა. VIII ს-ის ბოლოს და IX ს-ის დასაწყისში შეიქმნა კახთა, ქართველთა (ტაო-კლარჯეთი), ჰერთა სამთავრო-სამეფოები, რაც სახალიფოს და ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში მიმდინარეობდა და წარმოადგენდა ქართული სამყაროს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლის პირველ ეტაპს. ბიზანტიის საიმპერიო კარმა, სცნო ქართლის ერისმთავართა (მეფეთა) სახლის კანონიერი უფლებები ეგრისზე, რის დასტურად მირსა და არჩილს სამეფო გვირგვინები გამოუგზავნა, ხოლო ლეონს დაუმტკიცა „ერისთაობა აფხაზეთისა“ „მიუკუნისამდე“ და უბრძანა ჰქონოდა მშვიდობიანი

ურთიერთობა ეგრისის მფლობელებთან. „აფხაზთა“ მთავრებმა ეს პირობა დაიცვეს და ლეონ მეორე მხოლოდ ქართლის ერისმთავართა სახლის უძეოდ გადაშენების შემდეგ, „რამეთუ მიცვალეულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ... გადგა ბერძენთაგან...“ დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდგა მეფე აფხაზთა“ - ნერს „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი. „აფხაზთა მეფედ“ იწოდებოდა იმიტომ, რომ სამეფო დინასტია საკუთრივ აფხაზეთიდან იყო. ეს მეფე იოანე საბანისძესთან მოხსენიებული „აფხაზთა მთავრის“ მემკვიდრეა. მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ წერილობით წყაროებში პირდაპირი მითითება არ არსებობს. ზოგი მკვლევარი მათ არაქართველ აფხაზებად, ზოგი ქართველ აფხაზებად თვლის, ზოგი ბერძნებად, რადგან ისინი ბიზანტიის იმპერიის ვასალები, მათი არქონტები იყვნენ, საიმპერიო კარი კი, როგორც წესი არქონტებად ბერძნებს ნიშნავდა. ყველა ეს თვალსაზრისი მოსაზრებათა სფეროში რჩება და სამივეს აქვს არსებობის უფლება. მაგრამ ეს არ არის მთავარი. არსებითია ის, რომ ეს სახელმწიფო მინაწყლით, ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები ამავე ნიშნებით ქართველი მეფეები და პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. ალბათ ისიც სათქმელია, რომ X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი იოანე დრასხანაკერტელი, ამ სახელმწიფოს „ეგრისს“ უწოდებს, მათ მეფეს „ეგრისის“ მეფეს. ხოლო მცხოვრებთ „ეგრისელებს“, აგრეთვე XII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი მათ V საუკუნის ქართველი მეფის ვახტანგ გორგასლის ჩამომავლებად მიიჩნევს.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თვითონ ეს მეფენი თავის თავს არ უწოდებენ „აფხაზთა“ მეფეს; უშუალოდ „აფხაზთა“ სამეფოს თუ მის მიერ შემოერთებულ ტერიტორიებზე არსებულ წარწერებში ისინი მოიხსენიებიან როგორც „მეფე“. მაგ. კონსტანტინე III (893-922), გიორგი II (922-957), ლეონ III (957-967); ე.ი. მათთვის არა აქვს მნიშვნე-

ლობა რომელი რეგიონიდან არიან. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ტიტული „მეფე აფხაზთა“ მკვიდრდება X ს-ის ბოლოდან ბაგრატ ბაგრატიონის ქუთაისში კორონაციის შემდეგ, რაც დასტურდება დასავლეთ საქართველოს მთავართა და მეფეთა გენეალოგიისადმი მიძღვნილი თხზულებითაც (ე. ნ. „აფხაზთა მეფეთა დივანი“), რომელსაც კოსტანტი III -ის (893-922) მეფობაში ეწოდება „მეფეთა დივანი, ხოლო ბაგრატ III-ის (975/8-1014) შემდეგ – „აფხაზთა მეფეთა დივანი“. გასათვალისწინებელია, ისიც რომ XI ს-ის სომეხი ისტორიკოსი არისტაკეს ლასტივერტიცი, თავისი წინამორბედის იოანე დრასხანაკერტელისაგან განსხვავებით, რომელიც ამ მეფეებს „ეგრისელებს“ უწოდებს, მათ „აფხაზთა“ მეფეებად მოიხსენიებს. როგორც ითქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ ტიტული „აფხაზთა მეფე“ წერილობით წყაროებში მკვიდრდება დასავლურქართული სახელმწიფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრის ბაგრატ ბაგრატიონის ქუთაისში მეფედ კურთხევის შემდეგ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია XI ს-ის საისტორიო თხზულებებში მოტანილი ცნობა, რომ ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“ და „სახელ-იდვა მეფე აფხაზთა.“ ზოგი თვალსაზრისით, ეს ნიშნავს, არაქართველი (თუნდაც ქართველი) აფხაზი ლეონის მიერ ეგრისის დაპყრობას და ერთიანი ქართული დასავლურქართული სახელმწიფოს შექმნას. ეს თვალსაზრისი კრიტიკას ვერ უძლებს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ „დაიპყრა“ ძველ ქართულში ნიშნავს როგორც რაიმეს „დაპყრობას“ (თანამედროვე მნიშვნელობითაც), ისე ძალაუფლების ხელში აღებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ქართლის ცხოვრების“ რიგ ნუსხებში ეს სიტყვა ორ ნაწილადაა, „და იპყრა“, აქ „და“ შეიძლება კავშირია. ეს სიტყვა თუნდაც ერთად დაინეროს („დაიპყრა“) იგი ლეონის მიერ ხელისუფლების ხელში აღებას, ამ დროს უკვე ერთიანი აფხაზეთის და ეგრისის ბი-

ზანტიის ვასალობიდან განთავისუფლებას ნიშნავს. აფხაზეთი ლეონის სამკვიდროა, მისი სამკვიდროა ასევე დინასტიური ქორწინების შედეგად მიღებული ეგრისი და ეს ორივე ქვეყანა ლეონმა ერთნაირად „დაიპყრა“ – „იპყრა“, გაანთავისუფლა ბიზანტიის ქვეშევრდომობიდან. ამ შემთხვევაში, ავტორის მიერ აფხაზეთისა და ეგრისის ერთნაირი კონტექსტით მოხსენიება კანონზომიერია, რადგან მისთვის ცნობილია, რომ ეს ერთიანი ქვეყანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა, რომ მას თავისი სამკვიდრო აფხაზეთი ისევე ჰქონდა დასაპყრობი, როგორც ეგრისი. მართალია წყაროებში არაფერია ნათქვამი ბიზანტიის მხრიდან, ან შიგნით რაიმე წინააღმდეგობას თუ ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისტორიკოსის ცნობა, რომ „ლეონ ასულის ნული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გადგა ბერძენთა“ გარკვეული წინააღმდეგობის არსებობაზე მიუთითებს. ბიზანტიის ხელისუფლება ალბათ მთლად უბრძოლველად არ დასთმობდა თავის „უფლებებს“ (ეს მომდევნო ხანის მოვლენებითაც დასტურდება), არც ხაზართა დახმარება იყო უანგარო, მათთვის შავ ზღვაზე გამავალი გზა დასავლეთ საქართველოზე გადიოდა.

ამ ორი ქართული „ქვეყნის“ გაერთიანება სრულიად კანონზომიერი და უძველესი დროიდან არსებული „ქართული ქვეყნების“ გაერთიანებისაკენ ლტოლვის შედეგი იყო.

„აფხაზთა“ სამეფო ქართული (დასავლურქართული) სახელმწიფო იყო. მისი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები: ქართვები, ეგრები, სვანები, აფხაზები ... აფხაზთა პირველმა მეფემ სამეფო დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში, ერთ-ერთ უძველეს ქართულ ქალაქში გადმოიტანა. ანაკოფია, საკუთრივ აფხაზთა საერისთავოს ცენტრად დარჩა, სხვა გარემოებებთან ერთად, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ანაკოფიაში უფრო ძლიერი იყო ბიზანტიის გავლენა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლეონმა სამეფო ადმინისტრაციულ ერთეულებად, საერისთავოებად დაყო: აფ-

ხაზთა, ცხუმის, ბედიის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის, ქუთაისის.

მართალია ცნობა საერისთავოთა შესახებ XVIII საუკუნის ისტორიკოსს ეკუთვნის და შეიძლება ითქვას ეჭვი შეგვპაროდა მის რეალობაში, მაგრამ აშკარაა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ძველი წყაროებით სარგებლობდა. მის მიერ დასახელებულ საერისთავოთაგან მეფე ფარნავაზის დროინდელ საერისთავოთა შორის დასახელებულია მარგვის (არგვეთის) ერისთავი, მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ გატარებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად დასახელებულ საერისთავოებში აგრეთვე მოხსენიებულია სვანეთის, მარგვის (არგვეთის) ერისთავები. გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობას დასავლეთ საქართველოს საერისთავოთა შესახებ, სახელდობრ: თამარის დროს დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია სვანეთის, რაჭის, თაკვერის (რაჭა-ლეჩხუმის), ცხუმის, აფხაზეთის, არგვეთის საერისთავოების არსებობა. ასეთი დამთხვევა კანონზომიერია, რადგან საერისთავოები, ძირითადად, უძველესი დროიდან არსებულ სათემო სისტემას ემყარებოდნენ. თუმცა ყველა ეპოქაში არსებული ვითარების გათვალისწინება ხდებოდა და თუ ადრეული თემების მეთაურებს თემის წევრები ირჩევდნენ და ისინი მეთემეთა ინტერესებს გამოხატავდნენ, ერისთავი მეფის მიერ დანიშნული მოხელე იყო.

„აფხაზთა“ სამეფო რომ ქართული სახელმწიფო იყო და „აფხაზთა“ მეფეები ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები, ამას მათი საეკლესიო პოლიტიკაც ადასტურებს.

ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად IV ს. გამოცხადდა. ზოგი მკვლევარის აზრით, ეგრისი ეკლესიურად კონსტანტინოპოლის სამწყსოს ექვემდებარებოდა, მაგრამ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი VI-VII საუკუნეებში კონსტანტინოპოლის სამწყსოდან დამოუკიდებელი იყო, თუმცა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია კონსტან-

ტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციაში იმყოფებოდა. ბიზანტიისაგან დამოუკიდებელი, ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფოს არსებობის პირობებში, „აფხაზთა“ მეფეებისათვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა სამეფოში შემავალი აფხაზთა საერისთავოს ეკლესიის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნა და ისინი ყოველმხრივ ეცდებოდნენ და ხელს შეუწყობდნენ საკუთრივ აფხაზეთის საერისთავოს ეკლესიის ბერძნული ეკლესიისაგან გამოყოფას და საერთო დასავლურქართულ ეკლესიასთან გაერთიანებას. რაც განხორციელდა კიდეც, მაგრამ როდის?

როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლის სამწყსო დრო და დრო ადგენდა მისდამი დაქვემდებარებულ ეკლესიასთან ნუსხებს. შემორჩენილი ნუსხები რამდენჯერმეა გამოცემული. მართალია, ამ ნუსხათა მონაცემები ზოგ შემთხვევაში განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ეს შესაძლებელია გადამწერთა შეცდომებით (ეს სიები ხომ გვიანდელ ხელნაწერებშია შემორჩენილი), ან არ არის გამორიცხული, გადამწერთა მიერ მათ დროს ცნობილი ფაქტების გავლენითაა შეცვლილი. ნუსხათა მონაცემები, მათი ერთმანეთისაგან განსხვავების გამო ვერ იძლევიან მოვლენის ზუსტი თარიღის დადგენის შესაძლებლობას. მაგრამ ერთი რამ ფაქტია, ეს მოვლენა, მათი ერთმანეთისაგან განსხვავებული მონაცემებითაც ზოგადად IX საუკუნით თარიღდება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს მოვლენა VIII—IX საუკუნეთა მიჯნით, IX ს-ის სხვადასხვა მონაკვეთებით და X საუკუნის დასაწყისითაც თარიღდება.

შექმნილ ვითარებაში ვფიქრობთ, საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ დასავლეთ საქართველოს და საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ წარწერებს. ჯერ კიდევ 1967 წელს აფხაზი მეცნიერი ხ. ბლაჟბა აღნიშნავდა, რომ IX საუკუნიდან აფხაზთა სამეფოში ქართული ეპიგრაფიკა დასტურდება. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული წარწერები ადასტურებენ საკუთრივ აფხა-

ზეთის ტერიტორიაზე უკვე IX საუკუნის დასაწყისში ქართული წარწერების არსებობას, სახელდობრ გუდაუთის რაიონში, მსიგხუას მთის ეკლესიაში აღმოჩენილი მიქაელის წარწერები (16 ცალი) დათარიღებულია VIII-IX სს მიჯნით, ასევე იქვეა აღმოჩენილი IX საუკუნის მიქაელის წარწერა II (32 ცალი). რაც სრულიად ადასტურებს ჯერ კიდევ 1952 წელს ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ IX საუკუნის დასაწყისიდან, თუ უფრო ადრე არა, „აფხაზთა“ სამეფოში ქართულია კულტურის, სამეფო კანცელარიის, და ეკლესიის ენა“.

იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ IX საუკუნის დასაწყისში საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული წარწერებია დადასტურებული, რაც კონსტანტინოპოლის ეკლესიის სამწყობრიდან გამოყოფის უტყუარი ნიშანია, აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს როდესაც ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარეობდა ხატმებრძოლთა აქტიური შეტევა ხატთაყვანისმცემელთა მიმართ, აფხაზეთის ეკლესია ამ ბრძოლაში არ ერეოდა. არსად არცერთი წყარო არ ადასტურებს ხატმებრძოლეობის რაიმე სახით გამოვლინებას არც საკუთრივ აფხაზეთის, არც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოყოფილი იყო კონსტანტინოპოლის სამწყობრიდან.

თუ გავიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დასავლურქართული სახელმწიფოს მიერ იმპერიისაგან პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას, VIII ს-ის ბოლოს მალე მოჰყვა (IX ს) საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიის პრობლემების გადაჭრა და ამ საქმეში ალბათ მნიშვნელოვანი იყო „აფხაზთა“ მეფეთა როლი.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ „აფხაზთა“ მეფეთა ყველა წერილობითი საბუთი, იქნება ეს ხელნაწერი თუ ეპიგრაფიკული ძეგლი ქართულ ენაზე ქართული დამწერლობით არის შესრულებული. ანუ ეს მეფეები თვითიდეგნი-

ფიკაციას ქართულ ენაზე ახდენდნენ, რაც კიდევ ერთი უტყუარი ფაქტია მათი ეროვნული თვითშეგნების საკითხში.

აქვე ისმის „აფხაზთა“ კათალიკოსის სტატუსის შექმნის დროის პრობლემა. რადგან IX-X საუკუნეების მოვლენებთან დაკავშირებით წყაროებში ის არ არის დასახელებული, ხოლო მისი უადრესი მოხსენიება უკავშირდება XI-XII საუკუნეებით დათარიღებულ „ახალციხის ტყავის სახარების“ ანდერძს, სადაც მოხსენიებულია „სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოსი“, ამის პარალელურად მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ჯუანშერის თხზულების და „მატიანე ქართლისაის“ XVIII-XIX სს-ის მინაწერებში არის პირდაპირი მითითებები „აფხაზეთის კათალიკოსის“ დადგინების შესახებ. მართალია, ეს ორი მინაწერი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ დათარიღებას გვთავაზობს, ჯუანშერი 720 წელს, „მატიანე ქართლისაი“ 830 წელს, მაგრამ ფაქტი მაინც საინტერესოა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ XI-XII საუკუნეების რიგ წყაროებში (მატიანე ქართლისაი, დავით აღმაშენებლის ანდერძები, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი), აგრეთვე XIV საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენებთან დაკავშირებით, საქართველოში კათალიკოსი მრავლობით რიცხვშია „კათალიკოზნი“ მოხსენიებული, რაც იძლევა საფუძველს სარწმუნოდ მივიჩნიოთ ვახუშტის ცნობა, რომ „ჟამთა აფხაზთა მეფეთათა იქნა საკათალიკოსოდ“. ლოგიკურად მოვლენები შეიძლება ასე დალაგდეს: გაერთიანდა ეგრისი და აფხაზეთი და წარმოიქმნა ერთიანი დასავლურქართული სახელმწიფო, განთავისუფლდა სახელმწიფო ბიზანტიის ვასალობიდან, შეიქმნა ამ სახელმწიფოს ერთიანი მეფის ხელისუფლება, განთავისუფლდა აფხაზეთის ეკლესია კოსტანტინოპოლის სამწყსოს დაქვემდებარებისაგან, დასავლეთ საქართველო გაერთიანდა ეკლესიურად და შეიქმნა ერთიანი დასავლურქართული ეკლესიის უზენაესი ხელისუფლების „აფხაზთა კათალიკოსის“ ინსტიტუტი. ძნელი იყო ბიზანტიის იმპერიისაგან დამო-

უკიდებლობის მოპოვება, უფრო ძნელი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სამწყსოდან დამოუკიდებლობის მოპოვება. კონსტანტინოპოლი არც ერთი პოზიციის საბოლოოდ დათმობას არ აპირებდა. მიუხედავად საეკლესიო დამოუკიდებლობისა დიდი იყო ბერძნული ეკლესიის კულტურული და სულიერი გავლენა. აქ მას ღრმა ფესვები ჰქონდა. მის იდეოლოგიურ საყრდენს წარმოადგენდნენ ბერძნული საეპისკოპოსო ცენტრები: ფაზისის (საკუთრივ ეგრისის) სამიტროპოლიტო თავისი ოთხი საეპისკოპოსო კათედრით ძიგანევის (გუდავის), პეტრას, როდოპოლისის (ვარციხე), საისენის (ცაიშის), ბიჭვინთის საარქიეპისკოპოსო, რომელიც მოიცავდა საკუთრივ აფხაზეთს (აბაზგიას), ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო, რომელშიც შედიოდა ჯიქეთი და სებასტოპოლის (ცხუმის) კათედრა. ბერძნული კათედრების საპირისპიროდ დასავლეთ საქართველოს მეფეები აარსებენ ახალ საეპისკოპოსოებს ეგრისის შუაგულში. მაგ. აფხაზთა მეფე გიორგი II-მ (922-957) დააარსა ჭყონდიდის საეპისკოპოსო. ლეონ III-ის (957-567) დროს დაარსდა მოქვის საეპისკოპოსო. მიმდინარეობდა ბერძნული კათედრების გაუქმება-მოშლა. წყაროს ენით, რომ ვთქვათ, „მოცვლა“. მეფე ბაგრატ III-მ (978-1014) „მოცვალა მუნ გუდაყვს საეპისკოპოსო“ და „ალაშენა საყდარი ბედიისა“. დასავლეთ საქართველოში თანდათან მოისპო ბერძნული ეკლესიის გავლენა და მას დაუპირისპირდა ქართული ეკლესია, ქართული ენითა და ღმრთისმსახურებით.

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების და ბიზანტიის ვასალობიდან განთავისუფლების, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანების და აფხაზეთის საკათალიკოსოს კონსტანტინოპოლის სამწყსოს იურიდიული დაქვემდებარებიდან განთავისუფლებასთან ერთად „აფხაზთა“ (დასავლეთ საქართველოს) მეფეების წინაშე აქტიურად იდგა დასავლურქართული ეკლესიის პრობლემა.

ეს საკითხი მრავალი მკვლევრის მიერ არის განხილული. ამ გაერთიანების განხორციელების თარიღის საკითხი

აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, რაც გამომწვეულია პირველ-წყაროთა სიმწირით და აგრეთვე მათ შორის არსებულ ცნობათა გასხვავებით. გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ფეოდალური საქართველს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ საეკლესიო გაერთიანება უსწრებდა. არის საწინააღმდეგო აზრიც, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიათა გაერთიანება ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III -ის მეფობის ხანა, X-XI საუკუნეთა მიჯნაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იყოს ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულე 950 წელს წერს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. აქ „ქართლი“ საქართველოს მოიცავს, რადგან ამ დროს საეკლესიო მღვდელმსახურება ქართულად მთელ ქართულ ქვეყნებში მიმდინარეობს, მაგრამ ეს ქართული ქვეყნები ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული ჯერ არ არის და ამდენად მერჩულეს ეს ფორმულა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეკლესიურად ეს ქართული ქვეყნები ერთიანია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მართებული უნდა იყოს მოსაზრება, რომ მცხეთის კათალიკოსის „სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის“ წოდებით მოხსენიება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მის სამწყსოში მთელი ქართული ქვეყნები, საკუთრივ დასავლეთ საქართველოცაა შესული. ასეთი წოდებით კი პარხლის ეკლესიის წარწერაში მოხსენიებულია „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობაა ამ წარწერის დათარიღების საკითხში და აგრეთვე რომელია ეს იოვანე IV (980-1001) თუ იოვანე V (1033-1049)? არ არის გამორიცხული, რომ ეს ტიტული უფრო ადრე მიენიჭა კათალიკოსს, მაგრამ წყაროში ამის დადასტურება არა გვაქვს. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ტიტული მას სწორედ ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ მიენიჭა, რადგან

ის წარწერაში „ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქად“ იწოდება. „აღმოსავლეთი“ კი იმდროინდელი წყაროებით საქართველოა.

როგორც უკვე ითქვა ქართული ფეოდალური მონარქიის წარმოქმნას, ჩვენი აზრით, საეკლესიო გაერთიანება უსწრებდა წინ და ამ საქმეში დიდი იყო დასავლეთ საქართველოს მეფეთა წვლილი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათი ქართული ეროვნული თვითშეგნების არსებობას. და თუ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლად არსებობისას აფხაზთა კათალიკოსი დამოუკიდებელი მწყემსმთავარი იყო, ორი, დასავლური და აღმოსავლურ ქართული ეკლესიების გაერთიანების შემდეგ ის სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქისადმი იყო დაქვემდებარებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველო როგორც სახელმწიფო, ასევე ეკლესია აქტიურად მონაწილეობდა როგორც საქართველოს პოლიტიკური, ისე საეკლესიო გაერთიანების დიდ ეროვნულ პროცესში. საეკლესიო და პოლიტიკური გაერთიანება ერთდროულად მიმდინარე პროცესებია.

რომ ეს ე. წ. „აფხაზთა“ სამეფო ქართული, ქრთველ-აფხაზთა (სხვა აფხაზი კი ამ დროს არ არსებობს) სახელმწიფო იყო ამას მრავალი ფაქტორიც მეტყველებს.

„აფხაზთა“ სამეფო ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. აქ დაინერა ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, „აფხაზთა“ მეფეების კარზე ქართულად დაინერა გენეალოგიური ხასიათის თხზულება „მეფეთა დივანი“ -აფხაზთა მეფეების ისტორია, აიგო ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, სამეფო აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ეროვნულ ბრძოლაში, რომლის შედეგად შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

„აფხაზთა“ სამეფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ძველი ქართუ-

ლი სახელმწიფოებრიობის და კულტურის ერთ-ერთი ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავოს ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა არაქართულ ეკლესიად და არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს, რაც მთავარია, არ დამკვიდრდებოდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე.

IX საუკუნის დასაწყისიდან, თუ უფრო ადრე არა, ქართულმა ენამ დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, მან განდევნა დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან ბერძნული ენა და ამიერიდან „აფხაზთა“ სამეფოს სახელმწიფო კანცელარიის, კულტურის, ეკლესიის ენა გახდა ქართული.

როგორც აღვნიშნეთ, IX საუკუნიდან „აფხაზთა“ სამეფოში დასტურდება ქართული ეპიგრაფიკა. ამ დროიდან ეკლესიებსა და სხვა სახის ნაგებობებზე, ასევე რელიგიური დანიშნულების ნივთებზე როგორც წესი, ქართული წარწერებია ამოკვეთილი.

ანტიკურ ხანაში ბერძნული წარწერების არსებობას თავისი ახსნა აქვს. მაგრამ ქრისტიანულ ხანაში ეს განპირობებული იყო საერთო მართლმადიდებლურ, ბერძნულ ქრისტიანულ მრწამსთან ერთიანობით. ბერძნულ ენას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ქრისტიანულ სამყაროში. რამაც განაპირობა ბერძნული წარწერების არსებობა აღმოსავლური ქრისტიანული კულტურის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ შუასაუკუნოვან ქართულ არქიტექტურაში არსებულ სკოლებს აფხაზურს (დასავლურქართულს), კახურს, ქართლურს, ტაო-კლარჯულს, ჰერულს განმასხვავებელ, ლოკალურ თავისებურებებთან ერთად ზოგადქართული ხასიათი აქვთ და ისინი საერთო ქართული ნიშნებით ხასიათდებიან. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ საერთო ნიშნები საქართველოს ერთიანი

შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს შექმნამდე ვლინდება. პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოებში საერთო არქიტექტურული ფორმების არსებობა უძველეს ისტორიულ ძირებზე და საერთო ზოგადქართული კულტურის არსებობაზე მიუთითებს.

„აფხაზთა“ სამეფოს შექმნით ფართოვდება ცნება აფხაზეთის და აფხაზის მნიშვნელობა და ის ახლა უკვე ნიშნავს დასავლეთ საქართველოს, დასავლელ ქართველს და საკუთრივ აფხაზეთსაც.

გაერთიანებულ დასავლეთქართულ სახელმწიფოს, რომელიც წყაროებში იწოდება „ეგრისად“ და „აფხაზეთად“, ქართულ ისტორიოგრაფიაში „ეგრის-აფხაზეთის“ სამეფოც ეწოდება, რადგან მისი გაერთიანება აფხაზთა სამეფოდან იწყება, რის შედეგადაც შეიქმნა „აფხაზთა“ სამეფო და ქართულ წყაროებში ცნება ეგრისი და აფხაზეთი ფარავს ერთმანეთს.

IX-X საუკუნეებში (X ს-ის 60-70-იან წლებამდე) „აფხაზთა“ სამეფო აქტიურად მონაწილეობდა ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ) სამყაროში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში. „აფხაზთა“ მეფეები, როგორც ჩანს მნიშვნელოვან დახმარებას უწევდნენ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩრდილოეთ კავკასიაში, საკუთრივ ალანებში, ქრისტიანობის გავრცელების და იქ ბერძნული სამიტროპოლიტოს დაარსების საქმეში, რისთვისაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი მადლობის წერილებს უგზავნიდა მეფე გიორგი II-ს (922-957). X საუკუნეში „აფხაზთა“ სამეფო თავის გავლენას ჯავახეთზე ავრცელებს, რასაც კუმურდოს 964 წლის წარწერა ადასტურებს. ამასთანავე „აფხაზთა“ მეფეები ცდილობენ კონტროლის დაწესებას სტრატეგიულ და სავაჭრო მნიშვნელობის გზებზე, იბრძვიან ბარდავიდან მომავალი და ჰერეთზე გამავალი გზის მონაკვეთის, ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი გზის დაკავებას, ცდილობენ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი გავლენის დამკვიდრებას, წარმატებით ებრძვიან აქ

თავისი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლ ბიზანტი-ის იმპერიას, საქართველოში სხვადასხვა მიზნით შემოსულ არაბთა სამხედრო რაზმებს და ა. შ. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აფხაზთა სამეფოს აქტიურ მონაწილეობას იმ ბრძოლაში, რომელიც IX-X საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის ერთმანეთის მიწა-წყლის და საკუთრივ შიდა ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლაში, რომლის საბოლოო ობიექტური შედეგი ქართული ქვეყნების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს შექმნა იყო. ბრძოლის მთავარი ობიექტი ისტორიული შიდა ქართლია. ქართული საისტორიო თხზულება ამ ბრძოლას უწოდებს ბრძოლას „ქართლსა ზედა“. შიდა ქართლი აღმოსავლეთით მოიცავდა მიწა-წყალს მდ. არაგვამდე და თბილისამდე. ჩრდილოეთით -კავკასიონის მთავარ ქედამდე, დასავლეთით ლიხის (სურამის) ქედამდე, ხოლო სამხრეთით - ფარავნის ტბამდე. ადმინისტრაციული ცენტრი ამ დროს უფლისციხე იყო. შიდა ქართლი საქართველოს ცენტრალური, ისტორიულად, სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე დაწინაურებული რეგიონი იყო. ქართული სახელმწიფოებრიობის, ერთ-ერთი ცენტრი, სადაც ქართლის ძველი მეფეების დომენი იყო, მასზე უძველესი დროიდან გადიოდა, ადგილობრივი, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობის გზები. შიდა ქართლი იყო ქართული ქრისტიანობის ცენტრი, საიდანაც ქართული ქრისტიანული სარწმუნოება და ქართული კულტურა ვრცელდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებზე და ჩრდილოეთ კავკასიაზეც, მის ირგვლივ ხდებოდა ქვეყნის კულტურული და საეკლესიო კონსოლიდაცია, აქ ჩამოყალიბდა საბოლოოდ ქართული სალიტერატურო ენა.

შიდა ქართლის ფლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო კავკასიური მასშტაბითაც, რამაც განაპირობა მისთვის ბრძოლაში სომხეთის სამეფო-სამთავროების ჩაბმაც.

IX საუკუნის ბილოს და X საუკუნის დასაწყისში ამ ბრძოლაში გარკვეულ წარმატებას სომეხი ბაგრატიუნების სამეფომაც მიაღწია, მათ დაიკავეს უფლისციხე, თითქოს დადგა კავკასიაში ერთიანი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის დრო, მაგრამ X საუკუნის დასაწყისში სომეხი ბაგრატიუნები დამარცხდნენ და ეს იდეა ჩაიშალა.

ბრძოლა შიდა ქართლისათვის ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის VIII საუკუნის ბოლოდან და IX საუკუნის დამდეგიდან იწყება. ამ დროს შიდა ქართლის ნაწილს, მდ. ქსნიდან არაგვამდე კახთა ქორეპისკოპოსი ფლობს, რომელსაც მეტოქეობას ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამთავრო უწევს. შიდა ქართლის დასავლეთი ნაწილი მდ. ქსნამდე ბაგრატიონების ხელთაა, ხოლო არაგვის აღმოსავლეთი-კახეთის სამთავროს. IX საუკუნის შუა ხანებიდან შიდა ქართლისათვის, ე.ი. ქართული ქვეყნების გაერთიანებისათვის ბრძოლაში აქტიურად ერევა დასავლურქართული სახელმწიფო „აფხაზთა“ სამეფო. ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა. X საუკუნის დასაწყისიდან შიდა ქართლს არაგვამდე დიდი ხნით, ფაქტობრივად, 60-70-იან წლებამდე „აფხაზთა“ მეფეები ფლობენ, მაგრამ 70-იან წლებში, ტახტისათვის ოთხ ძმას შორის ატეხილი ბრძოლის ვითარებაში დასავლურქართული სახელმწიფო კარგავს შიდა ქართლს. „მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხეს, წერს ჩვენი მემამაციანე, მათ ჟამთა ერისთავი ქართლისა იოანე მარუშისძე“ - ა.

ამ დროისათვის ისტორიული მოვლენები მახლობელი აღმოსავლეთის, კავკასიის და საქართველოს მასშტაბით სწრაფად ვითარდება.

აშკარად იკვეთება საკუთრივ ქართული ქვეყნების გაერთიანების ტენდენცია, რაც ცალკეული მხარეების შედარებით მყარი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისკენ სწრაფვაში ვლინდება. ყველა სოციალურ ფენას, ურთიერთშორის არსებულ წინააღმდეგობასთან ერთად, ერთი საერთო ინტერესიც, გარეშე ძალთაგან (ბიზანტია, სახალიფო)

განთავისუფლების მისწრაფება აერთიანებს, მნიშვნელოვან ფაქტორს ქართველთა ეროვნული ერთიანობის თვითშეგნება და ერთიანი ქრისტიანული სარწმუნოება წარმოადგენდა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ეკლესიის პოზიციას, რომელიც გამაერთიანებელ ძალებს ედგა მხარში. საერთაშორისო ვითარებაც ქართველთა სასარგებლოდ შეიცვალა. ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე, რთული შიდასოციალური პროცესები, დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა საიმპერიო ხელისუფლებს წინააღმდეგ, არაბთა სახალიფოსთან ბრძოლებში განცდილი დამარცხებები საშუალებას არ აძლევდა მას აქტიურად ჩარეულიყო „ქართული ქვეყნების“ საქმეებში. დაშლის და დასუსტების ეპოქა დაუდგა არაბთა სახალიფოსაც, რომელიც ვეღარ ახერხებდა აქტიურად ჩარეულიყო კავკასიაში მიმდინარე პროცესებში.

ამ დროს შემუშავდა ქართული ქვეყნების გაერთიანების ის ოპტიმალური გეგმა, რომლის ავტორი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი დიპლომატი **იოანე მარუშისძეა**. ის მიმართავს იმდროინდელ საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) ერთ-ერთ უძლიერეს პიროვნებას ტაოს მეფეს, დავით III ბაგრატიონს, „რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი. ანუ დაიმჭიროს თვთ, ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“. ამ ორი ტახტის გარდა ბაგრატი, როგორც დავით ტაოელის „შვილობილი“ და „გაზრდილი“ დავითის მემკვიდრეც იყო. დავით ბაგრატიონს არც ძალა აკლდა და არც ხელისუფლების მოყვარეობა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ მას როგორც ბაგრატიონს ჰქონდა კანონიერი, ლეგიტიმური უფლება ქართლზე და არ ჰქონდა უფლება დასავლეთ საქართველოზე და რადგან ქვეყნის გაერთიანების საკითხი იდგა, მან პირად ინტერესებზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესები დააყენა „წარმოემართა ძალითა თვისითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად. და რაჟამს ცნეს მოსვლა მისი

კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი“. ხოლო ქართლის ერისთავმა იოანე მარუშის ძემ გადასცა მას უფლისციხე, რომელიც დავითმა „მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს“. და აი, აქ, უფლისციხეში დავითმა გამოაცხადა თავისი ისტორიული ანდერძი: „ესე არს მკვდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“ „და დაყვნა დღენი მცირედნი და წარვიდა ტაოს“. ამ აქტით ბაგრატ ბაგრატიონი შიდა ქართლის გამგებლად იქნა დადგენილი, მაგრამ ქართლის დიდებულმა აზნაურებმა, რომელნიც დიდი ხნის მანძილზე საკუთარ სამფლობელოთა თვითნებურად მართვას იყვნენ მიჩვეულნი, არ მონდომეს აქ ძლიერი ხელისუფლების წარმომადგენლის დადგინება, რომელიც აქტიურად ჩაერეოდა მათ საქმეებში. ქართლის აზნაურები დაუკავშირდნენ კახელებს, შეიპყრეს მცირეწლოვანი ბაგრატი, მისი დედ-მამა და უფლისციხე კახეთის მთავარს გადასცეს. ისევ დავით ტაოელის ჩარევა გახდა აუცილებელი, რომელიც გამოემართა „ძალითა მისითა“. ამის გაგებისთანავე კახელებმა დავითს მოციქული მიუგზავნეს, გაანთავისუფლეს ტყვეები და დატოვეს უფლისციხე.

უფლისციხეში მომხდარი აქტიდან (975) სამი წლის შემდეგ (978), იოანე მარუშისძემ ისევ მიმართა დავით ტაოელს, რათა ბაგრატი ქუთაისში ეკურთხათ მეფედ. ქართველი ისტორიკოსის სიტყვებით, რომ ვთქვათ, თეოდოსის მეფობაში „განირყუნა ქუეყანა იგი (დასავლეთ საქართველო, – მ.ლ.) და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთაგან განწესებული“. რომ უსინათლო მეფის დროს ფეოდალურ სახელმწიფოში წესრიგი ვერ იქნებოდა ეს გასაგებია, რომ ბაგრატ ბაგრატიონი უფლისციხის ყრილობაზე დავით ტაოელმა დასავლეთ საქართველოს, ტაოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ გამოაცხადა ესეც ცნობილია, მაგრამ ამჯერად დავით ტაოელმა თავი შეიკავა, და მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა ბაგრატის ქუთაისში გამეფებაზე, რაც „ყოველთა დიდებულ-

თა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოითხოვეს ბაგრატი მეფედ“ და მოითხოვა წერილობითი დასტური და მძევლები. აღსანიშნავია, რომ უფლისციხეში რომ აკურთხეს ბაგრატი, მაშინ არასრულწლოვანი იყო, ახლა კი ის უკვე სრულწლოვანია.

რა მოხდა რატომ ყოყმანობდა დავით ტაოელი და რატომ აჩქარდა იოანე მარუშისძე?

აღნიშნულ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ ამჯერად ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. როგორც ჩანს, დავით მეფეს ეჭვი ეპარებოდა აზნაურთა და წარჩინებულთა საერთო აზრის არსებობაში (რაც მალე დადასტურდა კიდევ), მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა დავით კურაპალატი და „შთაიყვანეს იგი (ბაგრატი ბაგრატიონი.- მ. ლ.) აფხაზეთს, დალოცეს მეფედ“.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აფხაზურ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს იყო აფხაზთა სამეფოს დაპყრობა ქართველი ბაგრატიონების მიერ (მ. გუნბა, ს. ლაკობა, ო. ბლაჟუბა და სხვები). ეს მოსაზრება არ არის არგუმენტირებული და დასაბუთებული საისტორიო წყაროებით და შესაბამისად, იგი სუბიექტურ შეხედულებას წარმოადგენს. ერთადერთი წყარო, რომელიც ბაგრატი III-ის მეფედ კურთხევის შესახებ მოგვითხრობს, არის „მატიანე ქართლისაი“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად არის ხაზგასმული დავით კურაპალატის წინდახედულება და დასავლეთ საქართველოს ერისთავთა და აზნაურთა წერილობითი დასტურის მოთხოვნა. დავით ტაოელის ყოყმანი განპირობებული უნდა იყოს იმ ფაქტითაც, რომ თეოდოსი III (975-978) ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო იოანე მარუშისძე და აფხაზთა სამეფოს მონინავე პოლიტიკური დასი ხედავდა რა თეოდოსი უსინათლოს უუნარო მდგომარეობას, ჩქარობდა ქვეყნის სათავეში ახალგაზრდა, ენერგიული მეფის ხელდასმას. მით უფრო, ეს აქტი შორს გამიზნული და გადამწყვეტი ნაბიჯი

იყო საქართველოს გაერთიანების გზაზე.

არსებობს თვალსაზრისი რომ პირველი ოფიციალური ტიტული, რომელიც ბაგრატმა მიიღო - „მეფე აფხაზთა“ გაპირობებული იყო დასავლურქართული სახელმწიფოს „აფხაზთა“ სამფოს, განსაკუთრებული წვლილით ქართული ქვეყნების გაერთიანების საქმეში. როგორც უკვე ითქვა, „აფხაზთა“ სამეფო IX-X საუკუნეების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის მიმდინარე იმ ბრძოლაში, რომლის საბოლოო ობიექტური შედეგი ქართული ქვეყნების გაერთიანება უნდა ყოფილიყო. დიდი ხნის მანძილზე ის ფლობდა კიდევ შიდა ქართლს, მაგრამ საბოლოო ეტაპზე, ფაქტობრივად, ვეღარ მონაწილეობდა ამ პროცესში. ამჯერად შიდა ქართლს კახელები ფლობენ. იოანე მარუშისძე „აფხაზთა“ სამეფოს ხელისუფლებას კი არ მიმართავს თავისი გეგმის სისრულეში მოსაყვანად, მან კარგად იცის რა ხდება იქ, არამედ დავით კურაპალატს, რომლის რეალური ძალით იქნა ეს დიდი საქმე მიყვანილი ბოლომდე.

ამიერიდან კიდევ უფრო გაფართოვდა ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ქართულ წერილობით წყაროებში „აფხაზეთი“ და „აფხაზი“ ნიშნავს ზოგადად „საქართველოს“ და „ქართველს“, ამასთანავე „აფხაზეთი“ ნიშნავს დასავლეთ საქართველოს და დასავლელ ქართველს და აგრეთვე საკუთრივ აფხაზს, თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე „მეფე აფხაზთა“ დგას, ამან განაპირობა ის, რომ უცხოურ წყაროებში ხშირად „აფხაზი“ იხმარება ზოგადად ქართველის და „აფხაზეთი“ საქართველოს მნიშვნელობით. თუმცა ამ უცხოელებმა, ბერძნებმა, სომხებმა, არაბებმა, რუსებმა კარგად იციან, რომ „აფხაზეთი“ იგივე „იბერია“ – „საქართველოა“. მაგალითად, XI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი კედრენე საქართველოს მეფეს გიორგი I-ს (1014-1027) უწოდებს აფხაზეთის არქონტს, ხოლო მის შვილს, მეფე ბაგრატ IV-ს (1027-1072), იბერიის არქონტს. XI საუკუნის და-

სასრულის და XII საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა, ამავე ბაგრატ IV-ს აბაზგიის არქონტად მოიხსენიებს. კედრენე, როდესაც მოგვითხრობს იმპერატორ ბასილი II-ის საქართველოში ლაშქრობის შესახებ წერს, რომ ბასილი გაემართა იბერიისაკენ გიორგი აბაგის წინააღმდეგ. ამკარაა, რომ ბიზანტიელი (ბერძენი) ისტორიკოსისათვის აბაზგია-აბაზგი და იბერია-იბერი იდენტური ცნებებია.

ასევე აფხაზი ქართველია, ხოლო აფხაზეთი - საქართველო აღმოსავლელი (არაბი, სპარსი) ავტორებისათვის. XIII საუკუნის არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი იაკუთი წერს, რომ აფხაზეთი ქრისტიანებით დასახლებული ქვეყანაა, რომელთაც ქურჯებს უწოდებენ. XIII საუკუნის დასასრულს სელჩუკი ქრონისტი იბნ ბიბი საქართველოს მეფე თამარზე წერს, რომ ის გურჯთა (ე.ი. ქართველთა) მეფეა, რომელიც მართავს აფხაზთა სამეფოს, რომლის დედაქალაქი თბილისია. აფხაზეთს საქართველოსთან აიგივებენ ნიზამი განჯელი, ხაყანი და სხვანი. არაბულ წყაროებში ჯურზან/ჯურზი, ჯურჯანი, ქურჯი/ქურჯისტან, აბხაზ ერთი მნიშვნელობით იხმარება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსული შუასაუკუნოვანი წყაროებიც მიუთითებენ, რომ იბერი იგივე აფხაზია (ობეზი).

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების „აბხაზი“ (სხვადასხვა ფორმით) და „აბხაზეთი“, როგორც წესი, ნიშნავს „ქართველს“ და „საქართველოს“ და ამასთანავე ინარჩუნებს თავის ძველ მნიშვნელობებს, დასავლელ ქართველს და დასავლეთ საქართველოს და საკუთრივ აფხაზს. საკუთრივ აფხაზეთი ერთიან საქართველოში საერისთავოა, XVII საუკუნიდან სამთავრო და შესაბამისად, ერისთავებიც მთავრები გახდნენ. აფხაზეთის მთავრები რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ სამთავროს გაუქმებამდე (1864) უცვლელად შარვაშიძეები არიან. ასე, რომ უძველესი დროი-

დან არავითარი დამოუკიდებელი, არაქართული აფხაზთა სახელმწიფო არ არსებოვდა.

ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობის მაქსიმალური გაფართოების შემდეგ უკუპროცესი დაიწყო. როგორც ცნობილია, XV საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველოს სამეფო ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეფოებად და სამცხის სამთავროდ დაიშალა. საკუთრივ აფხაზეთი იმერეთის სამეფოში შედიოდა, როგორც მისი ერთ-ერთი საერისთავო. XVI საუკუნეში ქვეყნის ფეოდალური დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და იმერეთის სამეფოს გამოეყო გურიისა და სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროები. ამ დროს აფხაზეთი სამეგრელოს სამთავროში შემავალი საერისთავო იყო, მაგრამ XVII ს. გამოეყო ოდიშის სამთავროს და ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდ. კოდორზე გადიოდა. კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყანა უძველესი დროიდან ეგრისში შედიოდა, ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პირობებში ოდიშის საერისთავოს, ხოლო საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში იყო. აფხაზეთის სამთავროს შემადგენლობაში ეს ტერიტორია XVII საუკუნის 80-იან წლებში შევიდა, თუმცა მუდმივად წარმოადგენდა ოდიშსა და აფხაზეთს შორის დავის საგანს.

გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის სამთავრო პოლიტიკურ-კულტურულად ისეთივე საქართველო იყო, როგორც დანარჩენი სხვა „საქართველოები“ (იმერეთი, ქართლი, კახეთი, ოდიში, გურია), ამას ადასტურებენ, როგორც საისტორიო წყაროები, ასევე მატერიალური კულტურა. აფხაზეთის სამთავროს შექმნის შემდეგ ქართველები, და არა მხოლოდ ქართველები, აფხაზეთს უკვე საკუთრივ ამ სამთავროს უწოდებენ.

XV-XVI საუკუნეებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რთული პროცესები მიმდინარეობს.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებით დასტურდება ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. ეს პროცესი საქართველოში არსებული უმძიმესი ვითარების პირობებში მიმდინარეობდა.

XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისიდან დაშლილ-დასუსტებულ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სეფიანთა ძლიერი და აგრესიულად განწყობილი შიიტური მრწამსის მუსლიმური სახელმწიფო გაუმეზობლდა, სამხრეთ-დასავლეთიდან აგრეთვე ძლიერი და აგრესიულად განწყობილი სუნიტური მრწამსის მუსლიმური, თურქ-ოსმალთა სახელმწიფო, ხოლო ჩრდილოეთიდან გამაჰმადიანებულ კავკასიელთა სამეფო-სამთავროები. XVI-XVII საუკუნეების მანძილზე ოსმალეთს და სპარსეთს შორის გამუდმებული საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა, თუ ზავი დაიდებოდა - ორივე მხარე ბრძოლისათვის ემზადებოდა. საომარი ოპერაციები, რომელთა მიზანი მახლობელ აღმოსავლეთში გავლენის სფეროების განაწილება იყო, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად საქართველოს დამორჩილებას ისახავდა და მთელი ამ ხნის მანძილზე ქართულ მიწა-წყალზე ომი იყო. ქართული სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდნენ კარზე მომდგარ მტერს. მოსახლეობა წყდებოდა და საგრძნობლად შემცირდა, ირბეოდა ქვეყანა. მოსახლეობაშემცირებულ ბარში მთიდან ჩამოსულები სახლდებოდნენ. ამ დროს ჩნდება ახალი ფაქტორი გაძლიერებული რუსეთის სახით. XVI საუკუნეში რუსეთი აქტიურად მოიწვეს სამხრეთისაკენ, იკავებს კავკასიის ველებს, ავინროვებს იქ მოსახლე სხვადასხვა ეთნოსთა წარმომადგენლებს, რომლებიც კავკასიონის ქედის ჩრდილო კალთებში ცდილობენ თავის შეფარებას, საიდანაც შევიწროვებული მოსახლეობა კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე გადმოდის. ქართული მოსახლეობისაგან დაცლილ კავკასიონის სამხრეთ კალთებს კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან გადმოსულნი იკავებდნენ.

მთიდან მოსახლეობის ბარში ჩამოსვლა მთაგორიანი ქვეყნებისთვის კანონზომიერი პროცესია. მთის მწირი ბუნება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მზარდ ჭარბ მოსახლეობას და ნამატი ბარში ჩამოდის. მშვიდობიან ვითარებაში ეს პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, სახელმწიფო ხელისუფლება მეტ-ნაკლებად აკონტროლებს მას, მაგრამ როდესაც სახელმწიფო სუსტდება და ამ პროცესს ვეღარ არეგულირებს, როგორც უკვე ითქვა, იქმნება მიძიმე ვითარება. ასე შეიქმნა კახეთში ჭარ-ბელაქანისა და თალას ე. ნ. ლეკთა უბატონო თემები. „უბატონო“, რადგან ჩამოსახლებულნი თემური წყობილების დონეზე იყვნენ და მათში არ იყო დამკვიდრებული ბატონყმობა. შიდა ქართლის ჩრდილოეთში წარმოიშვა ალანების, ჩვენ რომ ოსებს ვუნოდებთ, კომპაქტური დასახლება, ხოლო დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ ქართული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონის, აფხაზეთის მიწა-წყალზე შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ ჩერქეზულ-ადიღური მოდგმის სხვადასხვა ეთნოსთა კომპაქტური დასახლება, რომელთაც ჩვენმა წინაპრებმა, მსგავსად ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობისა, აფხაზი უწოდეს. რადგან ქართული ტრადიციით ქართულ მიწაზე დასახლებული უცხოელი პირველ თაობაში „ხიზანია“. მესამე თაობაში ის უკვე „მკვიდრია“ (არა აბორიგენი). ჩვენ არ ვიცით თვითონ ისინი ამ დროს რას უწოდებდნენ თავის თავს ან იქ, ან აქ, სავარუდოა, აფსუას.

აფხაზია ქართველი წარმოშობით აფხაზეთიდან. ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა IX საუკუნის საეკლესიო მოღვაწის პიროვნება. მისი მოღვაწეობისადმი მიძღვნილ X საუკუნის ჰაგიოგრაფიულ თხზულებას ეწოდება „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, ხოლო ტექსტის დასაწყისში აღნიშნულია, რომ ილარიონი იყო ქვეყანით კახეთით. ე. ი. უკვე ამ დროს (და უფრო ადრე) არსებული ეროვნული თვითშეგნებით წარმოშობით კახეთიდან ილარიონი ქართველია, ისევე როგორც ქართველია წარმოშობით აფხაზი.

უდავოა, რომ ასეთ ჩამოსახლებათა ცალკეულ ფაქტებს სხვადასხვა მიზეზების გამო, ადრეც ჰქონდა ადგილი, მოდიოდნენ ცალკეული პიროვნებები, ოჯახები, თემებიც, მაგრამ სხდებოდნენ რა ადგილობრივი, მათზე მაღალგანვითარებული ქართული ქრისტიანული სამყაროს და ქართული სახელმწიფოს ფარგლებში, განიცდიდნენ ასიმილირებას, ქართველდებოდნენ. ასე რომ, კიდევ რომ ვივარაუდოთ I-II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მოსახლე აბაზგების და აფშილების არაქართული წარმომავლობა, რაც საეჭვოა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას რომ მთელ გვიან ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში ისინი ქართულ კულტურულ პოლიტიკურ სამყაროში იყვნენ მოქცეულნი, მონაწილეობდნენ ამ სამყაროს კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და გაქართველებულნი იყვნენ. XVII საუკუნიდან კი იქმნება მათი მყარი, კომპაქტური დასახლება. ამ დროიდან იწყება აფხაზეთში ქრისტიანობის პოზიციების შერყევა, რასაც აპირობებს ერთი მხრივ, მთის იქიდან ჩამოსული მოსახლეობის მიერ თავისი წარმართული რწმენის ჩამოტანა, მეორე მხრივ, ოსმალეთის გაბატონება, რომელიც იქ ისლამის გავრცელება-დამკვიდრებას ცდილობს.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება XV საუკუნიდან მოყოლებული ქართული და ქრისტიანული პოზიციების შევიწროვება დასავლეთ საქართველოში და საკუთრივ აფხაზეთში.

სამეგრელოს სამთავროდან აფხაზეთის გამოყოფის და აფხაზეთის სამთავროს შექმნის შემდეგ მათ შორის მიმდინარეობს გამუდმებული შინაფეოდალური ბრძოლა. XVII საუკუნის ბოლოს აფხაზთა მთავრები იპყრობენ სამეგრელოს ნაწილს მდინარეების - კოდორსა და ენგურ შორის, მოგვიანებით ამ რეგიონის სამხრეთ ნაწილს სამურზაყანო ეწოდა.

ამ დროიდან იწყება ამ მხარის „გააფხაზება“. „გააფხაზების“ პროცესი კარგადაა ასახული ქართულ, ძირითადად, დოკუმენტურ და უცხოურ წერილობით წყაროებში. ამ

თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობა აფხაზების აქ საგანგებოდ ჩამოსახლების შესახებ. XIX ს-ის 10-იან წლებში სოფ. ბეღიაში ნაპოვნ და გაზეთ „კვალში“ (1887 20) გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელშიც აღნიშნულია, რომ XVII საუკუნის 10-იან წლებში ძმებმა როსტომ, ჯიქეშია და ყვაპუ შერვაშიძეებმა აფხაზეთის სამთავროში გაიყვეს სამფლობელოები. როსტომს ერგო მიწა-წყალი მდ. ბზიფიდან მდ. კოდორამდე. ჯიქეშიას - მდ. კოდორიდან მდ. ლალიძგამდე, ხოლო უმცროსს, ყვაპუს მდ. ლალიძგიდან მდ. ენგურამდე, სადაც არსებული ვითარების პირობებში, მოსახლეობა შედარებით მცირერიცხოვანი იყო, ამიტომ ყვაპუმ ბზიფიდან თავისი უფროსი ძმის სამფლობელოდან გადმოასახლა რამდენიმე თავადური და აზნაურული საგვარეულო, სახელდობრ: ანჩაბაძე, ემუხვარი, ინალიშვილი, მარლანია, ზვანბა ლაკერბაი და აკირტავა. მართალია დოკუმენტი XIX ს-ის დასწყისისაა, მაგრამ რადგან მასში მოთხრობილი ეთანხმება XV – XVII სს-ის ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების ცნობებს, ნდობას იმსახურებს.

XVI საუკუნიდან მოყოლებული აფხაზები იწყებენ თავდასხმებს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეებზე, უპირატესად სამეგრელოზე. ვახუშტი ბაგრატიონს აღწერილი აქვს XVII—XVIII საუკუნეების პირველ მეოთხედში აფხაზთა თავდასხმები გურია-სამეგრელოზე. ასეთ თავდასხმებზე უცხოური წერილობითი წყაროებიც მოგვითხრობენ. მაგალითად, შარდენი და ლამბერტი. მაგრამ ეს თავდამსხმელები ქართველი „აფხაზები“ კი არ არიან, არამედ უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული და აქ დამკვიდრებული მომთაბარენი.¹

¹ აქვე აუცილებელია აღინიშნოს, ქართული სამეფო-სამთავროებიც ესხმოდნენ ერთმანეთს თავს მიწა-წყლის მიტაცების, თუ ნადავლის დატაცების მიზნით, რაც საერთოდ ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, მაგრამ ამჯერად ეს ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს.

XIV-XV სს. დოკუმენტებით აშკარაა, რომ სოხუმი (ცხუმი) სხვაა, აფხაზეთი - სხვა. XVIII ს-ის შუა წლებში, არქანჯელო ლამბერტის, ასევე რუსი ელჩების, ცნობებით, დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია, ეგრისშია და ოდიშის სამთავროში შედის. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ XVII ს-ში უცხოელი ავტორები ბიჭვინთას არ ასახელებენ აფხაზეთში.

იტალიელი მისიონერი ძამპი, რომლის თხზულება შარდენმა თავის „მოგზაურობის“ წიგნში შეიტანა, მოგვითხრობს რა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის შესახებ, აღნიშნავს, რომ ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში და რომ მისი სამიტროპოლიტო საყდარი არის ბიჭვინთაში, აფხაზეთთან ახლოს. აღნიშნული ცნობა იმაზე მეტყველებს, რომ ის მოსახლეობა, რომელიც რწმენით, ყოფით განსხვავდება ოდიშის და დანარჩენი საქართველოს მოსახლეობისაგან, ბიჭვინთაში არ არის და ამიტომ უცხოელს ის „აფხაზეთად“ არ მიაჩნია.

XV საუკუნის ძეგლი „მცნებაი სასჯულო“ გვაუწყებს, რომ „აფხაზები ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“. ეს ქრისტეს მცნებათაგან განშორებული აფხაზები არიან, თავს რომ ესხმიან გურიისა და ოდიშის საერისთავოებს. XVII საუკუნის პირველი ნახევრის დოკუმენტში („მამულების განახლების სიგელი ლევან დადიანისა ხობის საყდრისადმი“) აღნიშნულია, რომ „მას ჟამსა უღმრთოდ და უსჯულოებად მიიქცეს აფხაზნი“, რომ „აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა“. იმავე დოკუმენტიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ვიწროვდება დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის იურისდიქციის ფარგლები, როგორ იკარგება ეს ქვეყანა ქრისტიანობისა და ქართველობისათვის. თუ არქანჯელო ლამბერტის და სხვა უცხოელი ავტორებისათვის XVII საუკუნის შუა წლებში დრანდა, მოქვი, ბედია, ეგრისშია და ბიჭვინთა აფხაზეთი არაა, XVII საუკუნის დასაწყისში ქარ-

თული დოკუმენტური მასალით ენგურს გაღმა სოფელი ნაჟანეული ჯერ კიდევ ოდიშის სამთავროშია, მაგ. ნაჟანეული 1626 წლის აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი დავთრის მიხედვით, ოდიშშია (სამეგრელოში). ნაჟანეული 1639 წლის დოკუმენტებითაც ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია, მაგრამ XVIII ს-ის დასაწყისში მდგომარეობა შეცვლილია. 1712 წლის დოკუმენტში აფხაზთა კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს: „ნაჟანეს სოფელი აფხაზს აეყარა. სამოცი მოსახლე კაცი ნეფსაძე კათალიკოსს ყვაპუ შერვაშიძისათვის მიეზარებინა, უფროსი დაკარგულიყო“, ვისი წამოყვანაც მოახერხა წამოიყვანა კათალიკოსმა და ხობსა და ხიზულაში დაასახლა. დოკუმენტში ჩამოთვლილია გვარები და ყველა გვარი ქართულია (მეგრულია). ასე თანდათან კარგავენ ქართველები პოზიციებს ისტორიულ ოდიშში და მათ ადგილს მომხდური აფხაზები (აფსუები) ჩრდილოკავკასიელნი იკავებენ. ეს დოკუმენტი ერთ საინტერესო გარემოებაზეც მიაჩვენებს, მომხდურ აფხაზთაგან დარბეულ ქართველ გლეხებს აფხაზთა კათალიკოსი შერვაშიძეს მიაზარებს, ე. ი. ის მომხდური აფხაზები სხვები არიან და შერვაშიძე სხვაა. ისიც ცდილობს ამ მომხდურთაგან თავის დაცვას და როგორც ჩანს, თავდაცვა თანდათან ძნელდება. სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657) საგანგებო კედელს აგებს აფხაზთაგან თავდასაცავად. ამ კედლის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „შევლო ზღუდე დიდმა ლევან დადიანმან აფხაზთა გამოუსვლელობისთვის“. არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ამ კედელს აფხაზთაგან დასაცავი კედელი აწერია. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს ეს ძველი კედელია თუ არა, როგორც ზოგი ფიქრობს, და ეხლა მას ხელახლა ამაგრებენ. მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ამ დროს როგორც უცხოელს, ისე ქართველს ეს კედელი აფხაზთაგან თავდაცვის საშუალებად მიაჩნია. მაგრამ ვინააინან ეს „აფხაზები“?

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ XVI საუკუნემდე

აფხაზებით დასახლებულ ქვეყანას სოციალურად და სარწმუნოებრივ-კულტურულად საქართველოს და საკუთრივ დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან არავინ ანსხვავებდა. უცხოელები, რომლებიც ანგარიშგასაწევ დაკვირვებებს გვანვდიან, სწორედ ამ თვალსაზრისით, XIII—XIV საუკუნეების ცხუმს ქართულ ქალაქად თვლიან. არაბი მწერალი აბულფიდა ცხუმს ქართულ ქალაქს უწოდებს, ხოლო ცხუმის კათოლიკე ეპისკოპოსი პიეტრო გერალდი 1330 წელს დანერილ წერილში ცხუმის მცხოვრებლებად თვლის ქართველებს, აგრეთვე მცირერიცხოვან მუსლიმებს და ებრაელებს. რაც იმას ნიშნავს, რომ არავითარი არაქართველი აფხაზები ამ დროს ცხუმში ჯერ კიდევ არ ცხოვრობდნენ. ან თუ აქ ტომით აფხაზები ცხოვრობდნენ ისინი პიეტრო გერალდისათვის ქართველები იყვნენ, რადგან ენით, სარწმუნოებით, ცხოვრების წესით არ განსხვავდებოდნენ დანარჩენი ქართველებისაგან. უცხოელთათვის ისინი ქართველები იყვნენ და არა ვინმე სხვა აფხაზები. ასევე უნდა აიხსნას ცნობა ბიჭვინთის შესახებაც. ბიჭვინთა ჯერ კიდევ არაა აფსუების ქვეყანა. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ პიეტრო გერალდი „ქვემო იბერიის“ კათოლიკე ეპისკოპოსად ითვლება. XIV საუკუნის მიწურულს ცხუმში მონეტას ქრის ოდიშის მთავარი ვამეყ დადიანი, რომელიც მთავრად 1384-1396 წლებში იყო. XIV საუკუნის იტალიურ რუკაზე მდ. კელასურის შესართავთან დატანილია „მეგრული პორტი“, მაგრამ XVII საუკუნისათვის მდგომარეობა შეცვლილია. იტალიელი ჯოვანი ჯულიანი და ლუკა, რომელმაც 1630 წელს დასავლეთ საქართველოში იმოგზაურა, წერს: „აფხაზები გაფანტული არიან ზღვის სანაპიროზე, მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორიც ჩერქეზებისა... აფხაზების ენა ძალიან განსხვავდება მეზობელი ხალხების ენისაგან. მათ არა აქვთ არავითარი დანერილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით ისინი ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული ზნე-ჩვეულების გარეშე. ტყეები მათ ემსახუ-

რებათ როგორც მყუდრო ადგილი. როდესაც ისინი აირჩევენ ერთ ადგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ. იცვამენ ჩერქეზების მსგავსად, მაგრამ თმებს იკრეჭენ სხვანაირად, ვიდრე ჩერქეზები.... რადგან მათ არ აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი და აქვთ მცირე მასალა თავიანთი ტანისამოსის დასამზადებლად. ისინი კმაყოფილდებიან თაფლისაგან გაკეთებული ღვინით და ტყეში გაზრდილი ნაყოფით. ხორბალი მათთან არ მოდის, მარილს აქ არ ხმარობენ“. ეს ცნობა ჩამოსახლებულებს ეხება და არა ძველ კულტურულ, ქრისტიან, მწერლობის მქონე ქართველებს, საკუთრივ აფხაზებს. ყურადსადებია ის გარემოება, ჯოვანი და ლუკა, როდესაც მათზე იწყებს საუბარს, განაკვეთის სათაურში მათ უწოდებს „აბაზას“ („აბაზა“), ხოლო ტექსტში ხმარობს „აბაცა“ და „აბკასა“. ეს ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების განსხვავებული სახელწოდებებია.

არქანჯელო ლამბერტი, რომელიც 1633-1649 წლებში რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, საკუთრივ ოდიშის სამთავროში, სამშობლოში დაბრუნების შენდეგ წერს ნაშრომებს საქართველოს შესახებ და აფხაზებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ისინი არ ცხოვრობენ ქალაქებსა და ციხეებში. ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი შეიყრებოდა ერთად, დასახლებოდნენ მალეობ ადგილზე, სადაც ააშენებდნენ ისლით დახურულ ფაცხებს, თავდაცვის მიზნით ირგვლივ ღობეს და ორმაგ თხრილს შემოავლებდნენ. საინტერესოა, რომ მათ სხვა კი არ ერჩის, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს და ძარცვავენ.

XVII ს-ის 40-იან წლებში 1640-47 წწ. საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფი ევლია ჩელები, რომელიც აღნიშნავს, რომ აფხაზეთში „ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ“. ის საგანგებოდ მოგვითხრობს აბაზას ქვეყანაზე, ჩამოთვლის იქ მოსახ-

ლე ტომებს, ასახელებს ჩაჩებს, არლანს, გეჩიებს და მრავალ სხვას, მაგრამ აფსუებს არ ახსენებს. ჩანს ისინი ვერ მოხვდნენ ჩელების ყურადღების სფეროში. შესაძლებელია ის აბაზას სწორედ აფსუებს უწოდებს. ჩელებისათვის აფხაზეთი აბაზას ქვეყანაა, მათი ენაც აბაზას ენაა. იმ დროს როდესაც აქ ჩამოსახლებულთ ქართველები ყველას “აფხაზს” უწოდებენ, უცხოელები “აბაზად” მოიხსენიებენ.

მოტანილი ცნობებით აშკარაა, მართებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული თვალსაზრისი იმდროინდელ აფხაზეთში წინანდელთან შედარებით, ქართველთაგან განსხვავებული ყოფაა დამკვიდრებული, ქრისტიანობა მოშლილი, რაც გამონვეული უნდა იყოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ან ნაწილობრივ, ან მთლიანად ახალი ეთნიკური ჯგუფით შეცვლით.

უცხოელი ავტორები, რომელნიც ამ ცნობებს გვანვდიან, არ იყვნენ შემთხვევითი პირები. ისინი ინფორმაციას აგროვებდნენ და ოფიციალურად აწვდიდნენ ცნობებს მათი საქმიანობის სფეროში მყოფი ხალხების შესახებ. მათ მიზანს წარმოადგენდა შეესწავლათ ამ ხალხების ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, კულტურა. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული რიგ შემთხვევაში იყოს სუბიექტური დანახვა, ობიექტური მიზეზებით გამონვეული შეცდომებიც, მაგრამ როდესაც მათი ცნობების დიდი ნაწილი ემთხვევა ერთმანეთს, ნაწილი დადასტურებულია ქართული წერილობითი დუკუმენტური მასალით, მათი არ გათვალისწინება ისტორიკოსის მიერ არამეცნიერულ და ჟამთააღმწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების... „თვალახმად“ მიგვაჩნია.

აფხაზეთის მიწაზე უცხო ეთნოსის მოსულობის თვალსაზრისს გარკვეულწილად ეხმიანება ფოლკლორული მასალა და დღევანდელ აფხაზეთში არსებული გადმოცემები. ამ გადმოცემათა სხვადასხვა ვარიანტები არსებობს, ზოგის თანახმად ისინი აფხაზეთში ეგვიპტიდან, აბისინიიდან არიან მოსულნი, ზოგი ვერსიით არმენიაზე გავლით „ისინი ჯერ ყუ-

ბანში დასახლდნენ, საიდანაც სიცივით შენუხებულნი აფხაზეთში გადმოვიდნენ და დასახლდნენ მთა ფსხუს შემოგარენში. მათ იქ დატოვეს თავისი წარმართული სინმინდეები, ჩერქეზი ბელადის ინალ-კუბას საფლავი, რომლის შესახებ მეხსიერება დღემდეა მთის ზოლის აფხაზებში დაცული. ეს ნმინდა ადგილები იმ გვარების წარმომადგენლებს მფარველობენ, რომელთა წარმოშობა ჩრდილოეთიანაა დაკავშირებული.

რეალურად არსებულ ვითარებას ასახავს ადიღური გადმოცემა აფხაზეთზე ადიღთა თავდასხმის შესახებ ინალის და მისი საძმოს წარმომადგენლების აშეს და საშეს მონაწილეობით. ამასვე ეხმაურება ცნობილი აფხაზური ხალხური ლექსი „აირგ შენ მხოლოდ ზღვისპირეთს ძარცვავ“, რომლის თანახმადაც მათი ომის ღმერთი აირგ მაღალ მწვერვალებს დარაჯობდა და ზღვისპირეთს საძარცვავად ჩამოდიოდა. აღსანიშნავია, რომ მათ თქმულებებში არც დავითი, არც თამარი არიან მოხსენიებულნი, მაშინ როცა საქართველოს ამ ორი მეფის შესახებ თითქმის ყველა კუთხის ფოლკლორში გვხვდება უმნიშვნელოვანესი ზეპირგადმოცემები, მათ შორის სვანურში, მეგრულში, აჭარულში, იმერულში, ხევსურულში, ტაოურში და ა. შ. ე. ი. მათი მეფობის დროს ისინი აქ არ ცხოვრობდნენ. ეს გადმოცემები, რასაკვირველია, არ იძლევა ამ ჩერქეზულ-ადიღურ ეთნოსთა აქ ჩამოსახლების ეპოქის განსაზღვრის შესაძლებლობას, არ არის გამორიცხული, მათში სხვადასხვა დროს მიმდინარე პროცესები იყოს ასახული, მაგრამ ზემოთ მოტანილ ცნობებთან ერთად, რომელნიც აშკარად მიუთითებენ XVI-XVII სს. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე, ეს გადმოცემებიც იმსახურებენ ყურადღებას.

აფსუების აქ ჩამოსახლების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯაკოპო გასტალდის XVI საუკუნის რუკას, რომელზედაც ჩრდილოეთ კავკასიაში სახელდობრ მდ. ყუბანის შუა წელზე დატანილია „აბსუას

(აბსვას) რეგი“ და მთავარი დასახლებული პუნქტია აკვა (ალბათ ციხე-სიმაგრე). აშკარაა, რომ ამ დროს ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდნენ. არაა გამორიცხული, რომ რაღაც ნაწილი უკვე ჩამოსულიც იყო, მაგრამ ამავე რუკიდანაც კარგად ჩანს, რომ როგორც ადრე, ისე ახლაც თანამედროვე აფხაზეთი ოდიშის სამთავროს ნაწილია. ჩრდილო დასავლეთ ოდიშის ნაწილში, საკუთრივ აფხაზეთში აფსუათა დასახლების შემდეგ, ქართული ქალაქის ცხუმის გვერდით ჩნდება პუნქტი აკვა (აყვა), ჩამოსულებმა და დასახლებულებმა აქ თავისი ციხე-ქალაქის სახელწოდებაც ჩამოიტანეს. ამ საკითხის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უცხოელთა რუკებს, მათ მიერ შედგენილ XVI საუკუნის რუკაზე აფხაზეთი საერთოდ არ არის დატანილი, შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი (ჩვენთვის დასავლეთი) სანაპირო, დაახლოებით თანამედროვე ტუაფსემდე, აღნიშნულია სამეგრელოდ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მაგალითად, პორტუგალიელი დიეგო ჰომემის 1559 წლის, იტალიელი ბატისტა აგნეზის 1542 წლის, ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკები.

ნიშანდობლივია, ის გარემოებაც რომ აფხაზეთა (აფსუათა) ფოლკლორში მათი მოსახლეობის ერთ-ერთ რეგიონად სწორედ ყუბანია დასახლებული.

ჩვენ არ ვიცით ამ სხვადასხვა ეთნოსთა მიმართ გამოყენებული სახელწოდებანი (აბაზა, აბკასა, აბაცა, აფსარი და სხვა) როდის ქრებიან და საბოლოოდ როდის უთმობენ ადგილს საერთო სახელს „აფსუა“-ს, ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნის 60-იან წლებში ის ცნობილია რუსი ოფიცრის ტორნაუსთვის, ხოლო 1882 წ. გამოცემულ წიგნში ცნობილი მეცნიერი პ.კ. უსლარი პირდაპირ უთითებს, რომ აფსუა-აფხაზია. თუ რა ხდება, რითაა გამოწვეული ასეთი ცვლილებები ამ კითხვაზე, როგორც უკვე ითქვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში პასუხი გაცემულია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში უცხოურ (ევროპულ რუ-

სულ, თურქულ, არაბულ) ნყაროებზე დაყრდნობით ვრცლად და განხილული და დამაჯერებლად არის ნაჩვენები XVI-XVII საუკუნეებიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კავკასიის მთიელთა (აბაზა, აბკასა, აბაცა, აფსარი) მიგრირების პროცესი. ასე, რომ ეს მოსაზრება ქართველი მეცნიერების შეთხზული არ არის და იგი ემყარება ამ უცხოელ მოგზაურთა, მისიონერთა, ისტორიკოსთა, დიპლომატთა ცნობებსა და აღწერილობებს.

აღსანიშნავია, რომ აფხაზთა ჩრდილო კავკასიიდან მოსულობაზე XIX საუკუნეში სხვები წერდნენ, ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვის დასკვნა, რომ აფხაზები ყოველთვის არ ცხოვრობდნენ იქ, სადაც დღეს მოსახლეობენ, რომ მათი გადმოცემები, ისტორიული მონაცემები და ჩვეულებები მიუთითებენ, რომ ისინი ჩრდილოეთიდან მოვიდნენ, შეავიწროვეს ქართველები, სანამ არ შეაჩერეს ენგურთან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შუასაუკუნოვან საქართველოში აფხაზს არაქართველად არ თვლიდნენ. XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, როდესაც კავკასიის ხალხთა წარმომავლობაზე მოგვითხრობს, დასავლეთ საქართველოს ის მთლიანად ეგროსის წილ ქვეყნად თვლის. ეს ცნობა აშკარად მოწმობს დასავლეთ საქართველოს ტომთა მრავალსაუკუნოვან ისტორიულ-კულტურულ ერთობაზე. ლეონტი მროველმა შესანიშნავად იცის აფხაზეთისა და აფხაზების არსებობა, მაგრამ მისთვის აფხაზეთი ეგრიისა, აფხაზი ქართველი, ეგრია, ანუ დასავლეთ საქართველოს მცხოვრები.

XI საუკუნეში, როდესაც ეჭვქვეშ დადგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი, გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა, მსოფლიო პატრიარქის კარზე, ქართული ეკლესიის თვითმწყობის კანონიერება საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობით დაასაბუთა და საგანგებოდ მიუთითა, რომ

„ერთი წმიდა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“. და საქართველოს ეკლესიის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ე. ი. იქ მყოფთათვის ქართველთა თუ არაქართველთათვის „აფხაზეთი“ საქართველოა.

ვახუშტი ბაგრატიონი, როდესაც მოგვითხრობს დასავლეთ საქართველოზე წერს, რომ არის ქვეყანა, რომელსაც ჯერ ეწოდებოდა ეგრისი, შემდეგ აფხაზეთი, შემდეგ იმერეთი. მისთვის დასავლეთ საქართველო ერთიანად ეგრის-აფხაზეთია-იმერეთია, თუმცა მან კარგად იცის აფხაზების არსებობა, მაგრამ მან იცის, რომ აფხაზეთი საქართველოა და აფხაზი ქართველია.

ერთიანი საქართველოს მეფეებისათვის (და საერთოდ ქართველებისათვის) აფხაზი ისეთივე ქართველი რომ არ ყოფილიყო როგორც მეგრელი, კახი, რაჭველი და სხვა, მაშინ ალბათ ისინი შეეცდებოდნენ ცვლილების შეტანას საკუთარ ტიტულატურაში.

როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში მკვიდრად იყო შესული ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები: კურაპალატი, კესაროსი, და სხვ. მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125), შეაფასა რა რეალურად საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა უარი თქვა ამ ტიტულებზე, რომელთაც მისი უშუალო წინაპრები ბიზანტიის საიმპერატორო კარზე საგანგებოდ ეძიებდნენ და ატარებდნენ, რადგან მათთვის ეს მაშინ საჭირო იყო. თვით დავითსაც, ჯერ კიდევ უფლისწულობაში ჰქონდა მიღებული, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები, რომლებზედაც უარის თქმა მას არ გაჭირვებია. მაგრამ „მეფე აფხაზთა“ -ს საკითხი არ დამდგარა და არც შეიძლება დამდგარიყო, რადგან „მეფე აფხაზთა“ დასავლელ ქართველთა მეფობას ნიშნავდა.

იმ დროს როდესაც ქართული საისტორიო წყაროები საკუთრივ აფხაზეთის სამთავროს მცხოვრებთ აფხაზებს

უნოდებენ არ ვიცით ეს ჩამოსახლებულნი რას უნოდებდნენ თავიანთ თავს. მათ უდავოა ჰქონდათ თავისი სალაპარაკო ენა, მაგრამ რადგან არ ჰქონდათ საკუთარი დამწერლობა, ეს არ არის ფიქსირებული. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავიანთ თავს და ენას ისინი მაშინაც (როგორც ახლა) აფსუას უნოდებდნენ. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა აფსუათა ენის საკითხი.

თამარის ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) თამარის ვაჟის გიორგის მეორე სახელის - „ლაშა“-სთან დაკავშირებით აღნიშნულია, „რომელ განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა (აფსართა ენითა)“. საფუძველს იმისათვის, რომ ეს აფსართა ენითა გაიგივებულ იქნას თანამედროვე აფსუათა ენასთან, „აფსუა“-„აფსარის“ ფონეტიკურ მსგავსებასთან ერთად იძლევა ის გარემოება, რომ თანამედროვე აფსუათა ენაზე „ლაშა“ („ალაშა“) ნათელს, სინათლეს ნიშნავს. ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ ნუსხაში, სახელდობრ თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, განმარტება „აფსართა ენითა“ არ არსებობს. ეს განმარტება არ არის არც მცხეთურ და არც მარიამისეული ნუსხიდან მომდინარე მაჩაბლისეულ ნუსხაში. ეს განმარტება არის ვახტანგ VI-ის შემდეგდროინდელ ნუსხებში, რაც სათანადოდ არის მითითებული „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეულ გამოცემაში. „ისტორიანი და აზმანის“ ტექსტის მარიამისეულ ნუსხაში წერია: „..... ლაშასა, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა“, XIII საუკუნის ისტორიკოსი არ აღნიშნავს რა ენიდან ითარგმნა, ე. ი. რა ენაზე ნიშნავს ლაშა განმანათლებელს, ხოლო „ლაშა“-ს „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგ VI-ის შემდეგდროინდელი ნუსხის ერთ-ერთი რედაქტორი განმარტავს, რომ ითარგმნა აფსართა ენითა. ამ საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ ვახუშტი ბაგრატიონი თამარის ძის დაბადებასთან დაკავშირებით წერს:

რომ თამარი „მიუდგა და შვა გიორგი და დაურთეს კუა-ლად ლაშა“. და იქვე ფრჩხილებში („რომელ არს განმანათლებელი“). არავითარი „აფსართა ენითა არც აქ არ არსებობს. ვახუშტისთან ტექსტი, ფაქტობრივად, მოტანილია „ისტორიანი და აზმანის“ მარიამისეული ნუსხით და „აფსართა ენა“ ქართლის ცხოვრების ტექსტში გვიანაა ჩამატებული.

ამასთან დაკავშირებით დგება ერთი საკითხი. თეთრინყაროს რაიონის, სოფელ ტბისის VIII საუკუნის კოჭრების ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკზე მოთავსებულია ეკლესიის ამშენებლის ლაშას მოსახსენებელი. ე. ი. ეს საკუთარი სახელი ქართულ ენაში XII საუკუნემდეც არსებობდა. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ „ითარგმნა“ „ითარგმნას“ ძველ ქართულში თანამედროვე მნიშვნელობასთან ერთად აქვს „განმარტების“ მნიშვნელობაც. და თამარის თანამედროვე ისტორიკოსი სწორედ იმას აღნიშნავს, რომ სახელი „ლაშა“ ქვეყნის, სოფლის განმანათლებელს ნიშნავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფე თამარმა სწორედ ამიტომ უწოდა თავის ტახტის მემკვიდრეს მეორე სახელი. მოტანილი ჩანამატის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, რომელთა შესახებაც მსჯელობას ამჯერად არ ვაპირებთ, რადგან არ ვიცით ვინ არიან ეს „აფსარები“.

მართალია, თანამედროვე აფსუათა (აფხაზთა) ენაში „ალ-აშა“ ნიშნავს იმასვე, რასაც თამარის დროს ნიშნავდა „ლაშა“, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს განცხადებისათვის, რომ აფსარებს (დღევანდელი აფხაზების წინაპრებს?) განსაკუთრებული ადგილი ეკავათ საქართველოში და მეფე თამარმა მათ საპატივცემულოდ უწოდა თავის ძეს ეს სახელი. მთავარია ის, რომ XII საუკუნის აფხაზები არავითარი აფსარები არ იყვნენ, ისინი იყვნენ ქართველები და მათი ენა ქართული იყო.

ამ საკითხთან დაკავშირებით ისევ ეპიგრაფიკულ მასალას უნდა მივუბრუნდეთ. IX—XIV სს აფხაზეთში (მსიგხუა,

ხუაფი, ნებელდა, ანუხვა, ოდიში, სკურჩა, ლიხნი და ა. შ.) მხოლოდ ქართული წარწერებია, რაც მოწმობს რომ აქ მოსახლეობა ქართულენოვანი იყო და მათი წერილობითი კულტურაც ქართული იყო.

XV-XVI საუკუნეებიდან, როგორც უკვე აღნიშნულია, საქართველოს პოლიტიკური დაშლის, კავკასიაში შექმნილი ვითარების, დასავლეთ საქართველოში ოსმალთა აგრესიის შედეგად, აფხაზეთში დადასტურებულია არაქართული ეთნიკური ელემენტის არსებობა. ეს მთლიანად აფხაზეთში ქართული წარწერების რაოდენობის შემცირებაშიც გამოიხატა, მაგრამ არც რომელიმე სხვა ენაზე შესრულებული წარწერები ჩნდება. ეპიგრაფიკული მასალა თვალნათლივ უჩვენებს, როგორ ხდება აქ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლა, აფხაზთა (ქართველთა) რაოდენობის შემცირება და დამწერლობის არმქონე ეთნოსთა დასახლება. აფხაზთა ნაწილის დანარჩენ ქართველთაგან სოციალურ-კულტურულ გათიშვასთან ერთად, რაც უცხო, შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი მოსახლეობის ჩამოსახლებით იყო გამოწვეული, მიმდინარეობდა ქართველთა და აფხაზთა (აფსუათა?) პოლიტიკური გათიშვაც, რასაც აქ თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით დამპყრობელი ოსმალებითაც უწყობდა ხელს, რომელიც ისლამის გავრცელებით ადგილობრივ მოსახლეობაში ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების შექმნას ცდილობდა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ უკვე რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ამ გათიშვას. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა საერთოდ ამოეღო სიტყვა საქართველოს (Грузия) გამოყენება ლექსიკიდან.

რუსეთის იმპერიაში გატარებული ადმინისტრაციული რეფორმით საქართველო ორ ადმინისტრაციულ ნაწილად გაიყო, თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია. რუსეთის ხელისუფლებას სახელწოდება აფხაზეთის ამოძიკვა

და საქართველოდან გამოყოფა სურდა.

საქართველოს ანექსიის და მეფის ხელისუფლების გაუქმების შემდეგ რუსეთი ქართველთა ერთიანობის შეგნების შემცირების მიზნით იწყებს ქართული ფეოდალური სამთავროების ცალ-ცალკე გაუქმებას და მათი მთავრების გადაყენებას. ყველაზე გვიან გააუქმეს აფხაზეთის სამთავრო (1864) და მას სოხუმის ოლქი უწოდეს, ხოლო 1883 წ. სოხუმის სამხედრო ოლქი, მიუხედავად დიდი სურვილისა, ეს სოხუმის ოლქი ვერ გამოყვეს დასავლეთ საქართველოდან, რადგან ეკონომიკურად და კულტურულად ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული დანარჩენ საქართველოსთან, რისთვისაც ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში დატოვეს და ამიერიდან მის გუბერნატორს ექვემდებარებოდა.

რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის აფხაზები, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდხანს და მედგრად ებრძოდნენ რუსეთის დამკვიდრებას საქართველოს ტერიტორიაზე და საკუთრივ აფხაზეთშიც.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო უნდა იყოს XIX საუკუნეში აფხაზი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების დამადასტურებელი ერთი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ: გრ. შარვაშიძე, ბ. ემუხვარი, კ. ინალ-იფა, მ. მარშანია, თ. მარლანია და სხვ. წერილი გაგზავნილია გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ – მირსკისადმი, რომელშიც აფხაზები აცხადებენ: „ოდითგან აფხაზეთი შეადგენდა ყოფილი საქართველოს სამეფოს ნაწილს, .. როდესაც საქართველოს მეფე ვახტანგ VI გასული საუკუნის დასაწყისში აპირებდა კანონების გამოცემას, იძახებდა დეპუტატებს ყოფილი საქართველოს სამეფოს ყველა პროვინციიდან. მათ შორის იყვნენ აფხაზი დეპუტატებიც, ხალხისა, რომელმაც უკანასკნელ დრომდე შემოინახა უძველესი ქართული წეს-ჩვეულებები. აფხაზეთის საქარ-

თველოსადმი კუთვნილების არანაკლებ მნიშვნელოვან მონ-
მეებად შეიძლება გამოგვადგეს ქრისტიანული ტაძრების
გარდა სხვადასხვა სამოქალაქო და სამხედრო ნაგებობათა
ნანგრევები. გთხოვთ ყურადღება მიქაცით იმასაც, რომ
როგორც ძველად, ისევე ახლაც ტანისამოსი, საკვები, სამი-
ნათმოქმედო იარაღები, სასოფლო მეურნეობის გაძლოლის
ხერხები იგივეა, რაც სამეგრელოში. ადგილთა უმეტესობა
ატარებს ქართულ სახელწოდებებს... ვიმედოვნებთ, რომ აფ-
ხაზეთსა და სამურზაყანოში საგლეხო რეფორმის გატარები-
სას ჩვენ არ ვიქნებით ამორიცხულნი ქართველი ხალხების
ოჯახიდან, რომელსაც ოდითგან ვეკუთნოდით“ (საქ. სახ. არ-
ქივი. 545, 1. 2784, ფურც. 134).

მუჰაჯირობა. რუსეთის ხელისუფლება თავისი მიზ-
ნებისთვის იყენებდა ისეთ ტრაგიკულ მოვლენებს აფხაზე-
თის მაჰმადიანური მოსახლეობის ისტორიაში, როგორც იყო
მუჰაჯირობა, ფაქტობრივად ახდენდა რა აფხაზეთის მაჰმა-
დიანი მოსახლეობის თურქეთში გადასახლების პროვოცირე-
ბას, შემდეგ დაბრკოლებას უქმნიდა მუჰაჯირთა იმ ნაწილს,
რომელიც სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამ-
და. იგივე ხელისუფლება არ აძლევდა აფხაზეთში დასახლე-
ბის უფლებას ქართველებს და ხელს უწყობდა მუჰაჯირთა
მინებზე სომხების, რუსების და სხვა ეროვნებათა წარმომად-
გენლების დასახლებას.

იმპერატორ ალექსანდრე II-ის (1855-1881) 1880 წლის
31 მაისის ბრძანებულებით, გუდაუთის, გუმისთისა და კო-
დორის უბნების აფხაზურ მოსახლეობას ჩამოერთვა მიწაზე
საკუთრების უფლება და მათი მიწები სახაზინო უწყებას გა-
დაეცა; აფხაზებს აეკრძალათ სოხუმიდან 20 ვერსზე და სა-
ნაპირო ზოლში მდ. კოდორსა და მდ. ფსირცხას შორის ცხოვ-
რება და „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი მიენიჭათ. ამ
საკითხებზე თანამედროვე აფხაზური ისტორიოგრაფია
დუმს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული საზოგადო-
ება დიდად განიცდიდა აფხაზი და კავკასიელი მუჰაჯირების

ტრაგიკულ ბედს. ეს კარგად ჩანს XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე ი. გოგებაშვილის, ს. მესხის, ი. ჭავჭავაძის და სხვათა პუბლიკაციებში. პრესიდან ჩანს, რომ ქართული ინტელიგენცია, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ყოველნაირად ცდილობდა აფხაზეთიდან მოსახლეობის თურქეთში გასახლების პროცესის შეჩერებას და მხარში ედგა მათ ამ მიმე დროს.

მუჰაჯირი აფხაზების ერთი ნაწილი ქართველებმა აჭარაში შეიფარეს, სადაც მათი შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ 1867 წელს ბზიფის (გუდაუთის რაიონი) მოსახლეობის თურქეთში მასობრივი გადასახლების თავიდან აცილების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ბზიფის ოლქის მმართველმა მაიორმა დავით ჭავჭავაძემ. იგი შეეცადა გამოსარჩლებოდა აფხაზებს და შუამდგომლობა აღძრა, რათა მათთვის შეემსუბუქებინათ მიმე ხვედრი, რის გამოც თანამდებობიდან გაანთავისუფლეს. გუდაუთის აფხაზობა გამოესარჩლა დ. ჭავჭავაძეს, მაგრამ ამაოდ.

ალბათ, ისიც სათქმელია და ნიშანდობლივია, რომ სწორედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეიტანა მუჰაჯირთა საკითხი განსახილველად 1920 წელს ანტანტის საბჭოს სხდომაზე.

აფხაზეთის რუსებით და სომხებით დასახლების პროცესი აქტიურად გრძელდებოდა საბჭოთა ეპოქაშიც, რაზეც ნათლად მიუთითებენ 1920-1980-იანი წლების აღწერების მონაცემები. ამ პერიოდში რუსული მოსახლეობა აფხაზეთში 1, 8%-დან გაიზარდა 14, 3%-მდე, სომხური 1,6-დან 14, 6 %-მდე, ქართული 35, 8%-დან 45 % - მდე. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა აბორიგენი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული.

აფხაზეთის საქართველოდან გამოცალკავების პროცესს აქტიურად წარმართავდა რუსეთის ხელისუფლება, მაგრამ ის კარგად ხედავდა, რომ აფხაზეთი საქართველოს

ბუნებრივი და განუყოფელი ნაწილი იყო და ამიტომ იყო სოხუმის „ოკრუგი“ მაინც ქუთაისის გუბერნიაში რომ იყო შეყვანილი და ქუთაისის გენერალ - გუბერნატორს ემორჩილებოდა. 1918 წელს, როდესაც შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აფხაზეთი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. სწორედ მაშინ აღსდგა რუსების მიერ გაუქმებული სახელწოდება „აფხაზეთი“, რომელიც ავტონომიის უფლებით შევიდა მასში და ეს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სცნო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით, რომელიც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დაიდო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921) ქართველი ბოლშევიკები და ადგილობრივი სეპარატისტები, რომელთაც რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება უჭერდა მხარს ყოველნაირად ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასუსტებას, მისგან აფხაზეთის გამოყოფას. ყველაზე აქტიურად დემოკრატიული საქართველოს მტრები ქვეყნის განაპირა მხარეებში მოქმედებდნენ. ამ ძალების მოქმედების შედეგი იყო საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული და რუსი თეთრგვარდიელების და ბოლშევიკების მიერ წაქეზებული გამოსვლები აფხაზეთში. აფხაზეთის სტატუსში ცვლილების მიღწევის მიზნით, რაც დრო და დრო გარკვეულ შედეგებსაც აღწევდა. ამ ფაქტს, ბუნებრივია, აფხაზეთა გარკვეული ნაწილის, სხვა ადგილობრივი მოსახლეობისა და საქართველოს ხელისუფლების მხრივ სათანადო საპასუხო მოქმედება მოსდევდა. 1921 წლის 21 თებერვალს დემოკრატიული საქართველოს მიერ მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ავტონომიური უფლებებით. სამწუხაროდ, როგორც ცნობილია, რამდენიმე დღეში საქართველოში დამყარდა რუსეთის ბოლშევიკური რეჟიმი და ხელისუფლება. გაუქმდა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფო და

1921 წლის კონსტიტუცია დარჩა მხოლოდ როგორც ისტორიული დოკუმენტი.

1921 წლის 25 თებერვალს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მიერ საქართველოს ფაქტობრივი ანექსიის და აქ ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აფხაზეთი ისევ დავის საგანი გახდა. ეს პროცესები ვრცელადაა ასახული აფხაზი ბოლშევიკების ლიდერის ნესტორ ლაკობას გამოსვლებსა და წერილებში. 1921 წლის მარტში რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკლარაცია აფხაზეთის შესახებ. 29 მარტს ამიერკავკასიის ხელმძღვანელი „ამხანაგების“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ) თათბირზე გადაწყდა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აფხაზი (აფსუა) ბოლშევიკები ნ. ლაკობა და ე. ეშბა, მოითხოვდნენ რა დამოუკიდებლობას აფხაზეთის სახელით, მთლიანად უგულბებლყოფდნენ აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ინტერესებს. საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე ლაკობამ აღნიშნა, რომ საკითხი აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შესახებ დაყენებულ იქნა ბათუმის თათბირზე 1921 წლის 29 მარტს. ამ თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ კავშიუროს წევრები: სერგო ორჯონიკიძე, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე და შალვა ელიავა. ნესტორ ლაკობა და ეფრემ ეშბა თავიანთ მოთხოვნას ასაბუთებდნენ აფხაზეთში ეროვნებათაშორისი შუღლის აღმოფხვრის და ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აუცილებლობით. ამ „დამოუკიდებლობას“ ისინი მოითხოვდნენ, როგორც „აბრას“ (как вывеску) და დროებით ღონისძიებად თვლიდნენ, რაზეც ქართველმა ბოლშევიკებმა უპასუხეს, რომ „თუ დამოუკიდებლობა აფხაზეთს ესაჭიროებოდა ჭეშმარიტი საბჭოთა ხელსუფლების დამყარებისათვის, მაშინ მიიღეთ ის არა მხოლოდ როგორც აბრა, არამედ როგორც ნამდვილი დამოუკიდებლობა“.

1922 წლის 15 თებერვალს. აფხაზეთის საბჭოების პირ-

ველ ყრილობაზე ე. ეშბამ განაცხადა, რომ ხალხის, მშრომელთა ინტერესებისათვის, რათა დავეხმაროთ ნაციონალიზმისაგან განთავისუფლებაში აუცილებელია გამოცხადდეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ეს უნდა გაკეთდეს, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში არსად ასეთი პატარა რესპუბლიკა არ არსებობს, და შემდეგ - „და მაშინ პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომაზე აუცილებლად იქნა მიჩნეული დროებით მაინც გამოცხადებულიყო აფხაზეთის დამოუკიდებლობა“. როგორც ვხედავთ, აფხაზი (აფსუა) ბოლშევიკების ლიდერები, რომელთაც შესანიშნავად ესმოდათ თავიანთი მოთხოვნების არაკანონიერება, ამ მოთხოვნებს განსაკუთრებული მდგომარეობით ასაბუთებდნენ და დროებით ღონისძიებდნენ თვლიდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ დათმობაზე, რომელმაც გააოცა აფხაზი ბოლშევიკები, ქართველი ბოლშევიკების ლიდერები შემთხვევით არ წასულან, მართალია, საქართველოში უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიას ქართველი ხალხი არ შეგუებია, რომელმაც აქტიური შეტევა განახორციელა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. ასეთ ვითარებაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქართველ და აფხაზ (აფსუა) ბოლშევიკებს შორის. ქართველ ბოლშევიკებს ძალიან ესაჭიროებოდათ აფხაზი ბოლშევიკების მხარდაჭერა, მათ არ აინტერესებდათ და არც ანუხებდათ ის გარემოება, რომ ამ დათმობით ისინი ხელყოფდნენ საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას, მის ისტორიულ საზღვრებს, რომლის დასაცავად ქართველი ხალხი (მათ შორის საკუთრივ აფხაზებიც) საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა. ბოლშევიკებს არ აინტერესებდათ და ანგარიშს არ უწევდნენ აფხაზეთის რეგიონის აბორიგენი ხალხის კანონიერ უფლებებს. ქართველი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ცხოვრობდა რა საკუთარ მიწა-წყალზე და საკუთარ სამშობლოში, საქართვე-

ლოში ამიერიდან უნდა ეცხოვრა სხვა სახელმწიფოში. ქართველი ბოლშევიკები ამ გადანყვეტილებას იღებდნენ იმ პირობებში, და ახალ სახელმწიფოს აყალიბებდნენ იმ საზღვრებში, რომელიც ისტორიულად საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, სადაც საუკუნეების მანძილზე, და მაშინაც, ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის შექმნის დროსაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. მათი ბედი არ აინტერესებდათ და არც ანუხებდათ, არც აფსუა ბოლშევიკებს და რაც ნიშანდობლივია, არც ქართველ ბოლშევიკებს.

ე.წ. დამოუკიდებელი აფხაზეთის სსრ ხელოვნურად შექმნილი ერთეული იყო, რომელსაც საქართველოდან განცალკავებით არსებობა და ეკონომიკურად ისტორიულ-კულტურულად და იმდროინდელი ვითარებიდან გამომდინარეც, სრულიად არაკანონზომიერი და გაუმართლებელი იყო. ეს მაშინვე გაცხადდა და, როგორც ცნობილია, იმავე აფსუა ლიდერების თაოსნობით მალევე გაუქმდა. თავიდან სხვადასხვა ვარიანტები იყო წარმოდგენილი. იმ დროს, როდესაც აფხაზეთი ოფიციალურ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად იყო აღიარებული, მისი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსზე დაყვანის საკითხი ვერ დადგებოდა და რუსეთის კომპარტიის (ბ) კავკასიის ბიუროს დადგენილებით 1921 წლის ნოემბერში დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთსა და საქართველოს შორის, რომლის ძალით აფხაზეთს მიენიჭა საქართველოსთან ასოცირებული რესპუბლიკის სტატუსი. ამის შემდეგ 10 წლის მანძილზე აფხაზეთი ოფიციალურად იწოდებოდა საქართველოსთან ასოცირებულ რესპუბლიკად. როგორც უკვე ითქვა, თვით სეპარატისტული ლიდერების განცხადებით აფხაზეთის სსრ გამოცხადდა დროებით ფორმალურად, როგორც აბრა და სხვა. მას ფაქტობრივად განიხილავდნენ როგორც საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკას, დამოუკიდებელ რესპუბლიკად ის არ მიაჩნდა არც საბჭოთა სახელმწიფოთა მეთაურს ლენინს, ის თავის

ოფიციალურ გამოსვლებში თუ დოკუმენტებში აფხაზეთს არ ახსენებდა როგორც რესპუბლიკას, სამხრეთ კავკასიაში ის ცნობდა აზერბაიჯანს, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებს. 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაშიც ის დაფიქსირებულია, როგორც ავტონომიური რესპუბლიკა.

გარკვეულ წრეებს შორის ამის შემდეგაც მიმდინარეობდა დისკუსიები აფხაზეთის სტატუსის შესახებ, მისი სტატუსის კონსტიტუციური გზით დაკანონების მცდელობასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ საკითხი ისევ სეპარატისტთა ლიდერებმა დააყენეს და საბოლოოდ 1931 წელს აფხაზეთის კონსტიტუციაში აფხაზეთი დაფიქსირდა საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად.

აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ თანამედროვე სეპარატისტი აფხაზი ისტორიკოსები ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ აფხაზეთი 1921-1931 წლებში არსებობდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და 1931 წელს სტალინმა უარყო ლენინის მიერ მიღებული პრინციპი, წაართვა აფხაზეთს დამოუკიდებლობა და ის საქართველოს აჩუქა. რომელ დამოუკიდებელ სახელმწიფოზეა საუბარი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში, მაშინ როცა საქართველოც კი ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფედერაციაში შედიოდა და ამერკავკასიაში მხოლოდ ამ ფედერაციას ჰქონდა მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი და შესაბამისად შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში როგორც მოკავშირე რესპუბლიკა. გარდა ამისა, თუ ეს ასე იყო, როგორც სეპარატისტული იდეოლოგიის ისტორიკოსები ამბობენ, მაშინ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის არსებობა დადასტურებული უნდა იყოს საბჭოთა კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით.

ასეთ ვითარებაში და კომუნისტური რეჟიმის არსებობის პირობებში რომელ დამოუკიდებლობაზეა საუბარი? ამაზე მსჯელობა უხერხულიცაა, მაგრამ თვით ეს აფხაზეთის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ფაქტობრივად აღიარებულ იქნა 1921 წლის 4 მარტს, ხოლო იმავე წლის 16 ნოემბერს მას ოფიციალურად მიენიჭა საქართველოსთან ასოცირებული რესპუბლიკის სტატუსი. ასეთ ვითარებაში რომელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობაზეა ლაპარაკი? აფხაზი ისტორიკოსები (ლაკობა, გუნბა, ბლაჟბა) ასოცირებული სტატუსით არსებულ წლებს როგორც დამოუკიდებლობას ისე განიხილავენ, რაც კრიტიკას ვერ უძლებს. მათ არ სურთ აღიარონ, ის ფაქტი, რომ 1921 წლის ხელშეკრულებაში, ისევე როგორც 1924 წლის კონსტიტუციაში აფხაზეთის სუვერენიტეტზე არაფერია ნათქვამი, ხოლო რაც შეეხება 1931 წლის აფხაზეთის კონსტიტუციას, იქ აფხაზეთის სტატუსი ისეა განსაზღვრული როგორც 1922 წლის საქართველოს და 1924 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუციებში.

უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციურ ვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 20-იან წლებში რიგი დამოუკიდებელი რესპუბლიკები გამოცხადდა, მაგ, სტავროპოლის, ყუბანის, შავიზღვისპირეთის და სხვ., რომელნიც მალე რსფსრ-ის ოლქებად იქცნენ. მსგავს შემთხვევებს სამხრეთ კავკასიაშიც ჰქონდა ადგილი. როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ საბოლოოდ შეძლო ძალაუფლების განმტკიცება, 30-იან წლებში ადმინისტრაციული ერთეულების სტატუსსაც გადახედეს საერთოდ მთელ სახელმწიფოში, რომლის მიზანი სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია იყო და აფხაზეთისათვის გამონაკლისს არ გააკეთებდნენ. ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით ალბათ უხერხულია წერა და ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში რომელიმე რესპუბლიკას რაიმე დამოუკიდებლობა ჰქონდა.

როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს აფხაზეთი არასოდეს ყოფილა დამოუკიდებელი სახელმწიფო. ის მთელი არსებობის მანძილზე ქართულ პოლიტიკურ ისტორიულ სტრუქტურაში იმყოფებოდა: კოლხეთის სამეფო, ეგრისის სამეფო,

ე. ნ. „აფხაზთა“ სამეფო (დასავლურ ქართული სახელმწიფო), ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქია, იმერეთის სამეფო, ოდიშის სამთავრო, რუსეთის იმპერიაში: ქუთაისის გუბერნია, შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 9 აპრილიდან.

აფხაზური ანბანის საკითხი. XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიული მიზნებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა აფსუათათვის ანბანის შექმნის საკითხი, რადგან დღევანდელ აფხაზთა წინაპრებს, ანუ აფსუებს არ ჰქონდათ დამწერლობა. ოფიციალურად, ეს კეთებოდა აფსუათათვის ანბანის, და შესაბამისად დამწერლობის შესაქმნელად, ვითომდა მათი კულტურის განვითარებისათვის სინამდვილეში კი ეს იყო ერთ-ერთი გზა მათი გარუსების გზაზე.

ანბანის შედგენა დაევალა ცნობილ მეცნიერს პ. კ. უსლარს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თვლიდა, რომ აფხაზური (აფსუათა) ენისათვის, ისევე როგორც კავკასიელი ხალხების უმრავლესობის ენისათვის, ყველაზე უფრო მისაღები ქართული გრაფიკა უნდა ყოფილიყო, რადგან მათი ბგერების უდიდესი უმრავლესობა ერთმანეთს ემთხვეოდა, აფსუათა ანბანი რუსული (სლავური) გრაფიკის საფუძველზე შეადგინა, რადგან აფსუათათვის ანბანის შექმნას ჰქონდა არა კულტურული, არამედ აშკარად გამიზნული ქართულიდან გამიჯვნის დანიშნულება. ოფიციალურად იყო გამოცხადებული და მითითებული, რომ აფხაზთა (აფსუათა) ენა უნდა შეეცვალა რუსულ ენას. რადგან რუსული გრაფიკით აფხაზური ბგერების გადმოცემა რთული იყო, რამდენჯერმე საჭირო გახდა მისი დახვეწა და გამარტივება.

ნიკო მარმა სცადა აფხაზური ანბანის ლათინური გრაფიკის საფუძველზე შექმნა, რამაც ვერ მოიტანა სასურველი შედეგი. 1892 წელს პედაგოგმა დ. მაჭავარიანმა და მისმა მონაფემ, შემდგომში აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელმა და კლასიკოსმა დიმიტრი გულიამ შეადგინეს აფხაზური

ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე, ვერც ამ ცდამ მოიგანა სასურველი შედეგი. 1938 წელს ისევ დიმიტრი გულიამ, ქართველი მეცნიერების - აკაკი შანიძის და სიმონ ჯანაშიას დახმარებით შექმნა ახალი ანბანი აფსუებისთვის ქართული გრაფიკის საფუძველზე, 1954 წელს აფხაზური (აფსუათა) ანბანი ხელახლა შემუშავდა, ისევ რუსული გრაფიკის საფუძველზე. ანბანის ასეთი რეფორმა საბჭოთა კავშირის მრავალ სხვა რესპუბლიკაში გატარდა.

საგულისხმოა, რომ გარუსების პოლიტიკას აფხაზეთში ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ახორციელებდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ (1811) რუსეთი ცდილობდა აფხაზეთის ეკლესიებში ღმრთისმსახურების ქართულიდან სლავურზე გადაყვანას, რაც აგრეთვე მიზნად ქვეყნის რუსიფიკაციას ისახავდა.

